პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი, 1947 წ. № 196 (7980). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვალდებულებათა შესრულება (1-ლი გვერდი).
წარმატებით ჩავატაროთ მორიგი გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში (1-ლი გვერდი).
ქ. ანთიძე — დიდი ოქტომბრის გზაზე (მე-2 გვერდი).
ზ. კოჩლაძე — პარტიული ხელმძღვანელობის საკითხისათვის (მე-2 გვერდი).
საბერძნეთში უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ — ა. ა. გრომიკოს სიტყვა გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში 1947 წლის 27 სექტემბერს (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია

შესრულდა 9 წელი ბოლშევიზმის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს—„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის დღიდან. ამ წიგნის გამოსვლა უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში. პარტიის ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლით პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მიიღო მძლავრი თეორიული იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია, რომელშიც მეცნიერულად განზოგადებულია ბოლშევიკური პარტიის გიგანტური გამოცდილებანი.

მარქსიზმის ისტორიის მთელ მანძილზე ჯერ არ ყოფილა ისეთი წიგნი, რომელსაც ესოდენ ფართო გავრცელება მიეღოს, როგორიც „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა" მიიღო. იგი ათობით მილიონი საბჭოთა ადამიანის განუყრელ, სამაგიდო წიგნად იქცა.

ძველ, 1938 წლამდე გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში დაშვებული იყო არევდარევა პარტიის ისტორიისა და თეორიის ძირითადი საკითხების განმარტებაში, ისინი არამეცნიერული იყვნენ. ამ წიგნებში პარტიის ისტორიას მათი ავტორები განიხილავდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიისაგან, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობისაგან მოწყვეტით, მათთან დაუკავშირებლად. ამიტომ გასაკვირველი არ იყო, რომ ეს წიგნები იყო „არა როგორც ისტორია, არამედ როგორც მოუბუქი და გაუგებარი მოთხრობა წარსულ საქმეებზე" (სტალინი). მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე პარტიის რიგების აღზრდის ამოცანა გადაჭრით აყენებდა საკითხს ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის, ისეთი სახელმძღვანელოს შექმნისათვის, რომელიც მოგვცემდა პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხების ღრმა მეცნიერულ განმარტებას, დაეხმარებოდა ჩვენს კადრებს სწორად შეეცნოთ საზოგადოების განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონები.

პარტიის ისტორიის ასეთი სახელმძღვანელო შექმნა დიდი სტალინის გენიამ.

ჯერ კიდევ ამ წიგნის გამოცემამდე, პროპაგანდისტთა თათბირზე 1938 წელს, ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, რომ ჰქმნიდა რა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიზნად ისახავდა—მიეცა ჩვენი კადრებისათვის ისეთი მძლავრი იდეური იარაღი, რომელიც დაეხმარებოდა მათ საზოგადოების განვითარების კანონების გაგებაში, ჩვენი დიდი საქმის ისტორიული უძლეველობის გაგებაში, მოამზადებდა და გამოაწრთობდა პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ კადრებს, მთელ საბჭოთა ხალხს იმ საფრთხესთან საბრძოლველად, რაც მეორე მსოფლიო ომის წინ ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა.

დიდი სტალინის მიერ შექმნილი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" არის სწორედ ისეთი წიგნი, რომელიც აიარაღებს ჩვენს კადრებს მარქსიზმ-ლენინიზმის ამ სიბრძნით, ზრდის საბჭოთა ადამიანებს ბოლშევიკური პარტიის მსოფლმხედველობაზე—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე, აძლევს მათ ლენინ-სტალინის პარტიის საქმის სიმართლისა და უძლეველობის დიად რწმენას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო ჩვენს კადრებს, მთელ საბჭოთა ხალხს აიარაღებს ბოლშევიკური პარტიის მიერ განვლილი ისტორიული გზის ძირითადი შედეგების ცოდნით, იგი, უწინარეს ყოვლისა, გვასწავლის იმას, რომ ახალი ტიპის პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა რუსეთში იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე, ვინაიდან სწორედ ბოლშევიკური პარტია არის მსოფლიოში ისეთი პარტია, რომელიც „თავისუფალია ოპორტუნიზმისაგან, შეურიგებელია შეთანხმებლებისა და კაპიტულანტების მიმართ, რევოლუციურია ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ"; რომ სწორედ მას შესწევდა უნარი მოემზადებინა პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის და მოეწყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება.

პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო გვასწავლის, რომ ჩვენს პარტიას არ შეეძლო შეესრულებინა მშრომელთა ხელმძღვანელის, პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლი, თუ იგი არ იხელმძღვანელებდა მოწინავე თეორიით, თუ არ დაეუფლებოდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერულ თეორიას — მარქსიზმ-ლენინიზმს. ხოლო რაში მდგომარეობს ამ თეორიის ძალა? — „მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში".

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა სწორედ ამ თეორიით აიარაღებს ჩვენს კადრებს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო.

ჩვენი პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო გვასწავლის, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიების გაუნადგურებლად, რომლებიც მუშათა კლასს ბურჟუაზიის ბანაკისკენ ეწეოდნენ, საკუთარ რიგებში ოპორტუნისტებთან შეურიგებელი ბრძოლის გარეშე, კაპიტულანტების განადგურების გარეშე ჩვენს პარტიას არ შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი რიგების ერთიანობა და დისციპლინა, არ შეეძლო წაეყვანა მუშათა კლასი პროლეტარული რევოლუციის მოსახდენად, არ შეეძლო შეესრულებინა ხელმძღვანელი როლი სოციალისტური საზოგადოების აშენებაში და არ შეიძლებოდა შეესრულებინა ამჟამად სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლის მსოფლიო ისტორიული როლი.

პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო გვასწავლის, რომ ჩვენი პარტია ყოველთვის ამჩნევდა თავისი მუშაობის ნაკლოვანებებს და დროზე იბრძოდა მათი გამოსწორებისათვის, თავის დევიზად აცხადებდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, უმუშავებდა კადრებს შეცდომათა გამოსწორების უნარს; იგი გვასწავლის, რომ პარტიას არ ეშინია კრიტიკისა და თვითკრიტიკის, იგი არ ფარავს თავის შეცდომებს და გადაჭრით იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის.

და ბოლოს, ჩვენი პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო გვასწავლის, რომ მასებთან მტკიცე კავშირის გარეშე, მათი ავ-კარგის გაგების გარეშე და იმის მზადყოფნის გარეშე, „რომ არა მარტო ასწავლო მასებს, არამედ კიდეც ისწავლო მასებისაგან" (სტალინი), — შეუძლებელია იყოს მუშათა კლასის პარტია ნამდვილი მასობრივი პარტია, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეყოლიებინა მშრომელთა მილიონები. სწორედ ბოლშევიკური პარტია აღმოჩნდა ღირსი ეტარებინა მუშათა კლასის ასეთი მასობრივი პარტიის სახელი, ვინაიდან მას და მხოლოდ მას აქვს მტკიცე, განუყრელი კავშირი მასებთან, ხალხთან. ეს არის ჩვენი პარტიის უძლეველობის წყარო.

— აი რა სიბრძნით აიარაღებს საბჭოთა ადამიანებს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

ცხრა წელი გავიდა დიდი სტალინის ამ ისტორიული ნაშრომის გამოსვლის დღიდან. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლა გახდა დასაწყისი ჩვენი კადრების—პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკების, ინტელიგენციის კადრების მობრუნებისა—თავისი თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ამ წიგნზე, — მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე იზრდებიან ათეული მილიონობით საბჭოთა ადამიანები, პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო მათ აიარაღებს ახალი, გრანდიოზული ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, ჩვენს ქვეყანაში დიადი კომუნიზმის აშენებისათვის.

დიდება დიდ სტალინს — ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის მეცნიერული სახელმძღვანელოს შემქმნელს!

თბილისის სამგზავრო განყოფილებამ საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა

გზათა სამინისტროდან მიღებულია დეპეშა, რომ რკინიგზების სამგზავრო განყოფილებათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების აგვისტოს შედეგების მიხედვით პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და გზათა სამინისტროს კოლეგიამ თბილისის სამგზავრო განყოფილების კოლექტივს (უფროსი ამხ. კ. პაიჭაძე) მიაკუთვნეს მეორე ადგილი და ფულადი პრემია.

ვალდებულებათა შესრულება

მოსკოვი, კრემლი

დიდ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ვოროშილოვგრადის ოლქმა ვადამდე, 26 სექტემბერს, შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ოლქის კოლმეურნეობებმა 1947 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს ექვსი მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1940 წელს. ბევრი კოლმეურნეობა განაგრძობს პურის ჩაბარებას გეგმის გადამეტებით.

პირობას გაძლევთ თქვენ, ჩვენო მშობლიურო მამავ იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ვოროშილოვგრადის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაუღალავად იბრძოლებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად—სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

დიდება დიდ ბელადს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

უკრაინის კ. პ. (ბ) ვოროშილოვგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი
ა. გაევოი
მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ი. ორეშკო
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ვოროშილოვგრადის ოლქში პ. შიპილოვი

მოსკოვი, კრემლი

დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

უდიდესი სიხარულის გრძნობით მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ჟიტომირის ოლქმა ვადამდე, 26 სექტემბერს, 100 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. გრძელდება პურის ჩაბარება გეგმის გადამეტებით. ჟიტომირის ოლქის მიწის მუშების მიერ პურისათვის ბრძოლაში მიღწეული წარმატებანი წარმოადგენენ პასუხს თქვენს ყოველდღიურ ზრუნვაზე კოლმეურნე გლეხობისათვის და ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი აყვავებისათვის.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ჟიტომირის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 30-ე წლისთავს შეხვდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს წარმატებით დამთავრებით და მომავალ წელს კიდევ უფრო უხვი მოსავალი აიღონ, კიდევ უფრო ძლიერი გახადონ ჩვენი სამშობლო.

უკრაინის კ. პ. (ბ) ჟიტომირის საოლქო კომიტეტის მდივანი
მ. სპივაკი
ჟიტომირის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ნ. როჟანჩუკი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ჟიტომირის ოლქში ზობნინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ტულის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაანაღდეს თქვენთვის გამოგზავნილ წერილში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ვადამდე, 28 სექტემბერს, 100,3 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (მინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ტულის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ჩმუტოვი
საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. სუბოტინი
დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ტულის ოლქში ი. შლეინიკოვი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მუდმივი მზრუნველობის პასუხად მორდვეთის ასსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა თავიანთ წერილში პირობა მოგცეს თქვენ, რომ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმას 1947 წელს ვადამდე, ე. ი. 1 ოქტომბრისათვის შეასრულებდნენ.

მოხარული ვართ მოგახსენოთ თქვენ, რომ მორდვეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი ვალდებულება შეასრულეს. 28 სექტემბერს მთლიანად რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, აქედან სასურსათო კულტურების დარგში 116 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა ერთისამად მეტი პური, ვიდრე შარშან. გრძელდება პურის ჩაბარება გეგმის გადამეტებით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უკვე წელს ჩაუყარეს მკვიდრი საძირკველი პურის დამზადებას 1948 წელს, საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, სუფთა ანეულზე 104 პროცენტით და საშემოდგომო ნათესი ფართობი 90 ათასი ჰექტარით გაადიდეს შარშანდელთან შედარებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) მორდვეთის საოლქო კომიტეტის მდივანი
კოჩერგინი
მორდვეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტინვაევი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მორდვეთის ასს რესპუბლიკაში ვლადიმიროვი

მოსკოვი, კრემლი

დიდ ბელადსა და მასწავლებელს ძვირფას ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სიხარულით მოგახსენებთ თქვენ, რომ ხაკასეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გაანაღდეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილებითა და კრასნოიარსკის მხარის მიწის მუშების მიერ თქვენთვის გამოგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულებანი, ვადამდე, 1947 წლის 28 სექტემბერს, 100,6 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და განაგრძობენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას გეგმის გადამეტებით.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ხაკასეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები კვლავაც თავდადებულად იბრძოლებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ვადამდე მთლიანად მოიხადონ ვალი სახელმწიფოს წინაშე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში, წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე წლის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას),—ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს ბრძენ ბელადს, მშობლიურ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

საკავშირო კ. პ. (ბ) ხაკასეთის საოლქო კომიტეტის მდივანი
აფანასიევი
ხაკასეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ინკიჟეკოვი

წარმატებით ჩავატაროთ მორიგი გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

დღეიდან იწყება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა, რაც ერთ თვეში უნდა დამთავრდეს. ამ გაწვევის წარმატებას ახლა, როდესაც უკვე ვუახლოვდებით ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის მიჯნას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი, უმაგალითო მასშტაბით გაშლილი ახალი მშენებლობა, განსაკუთრებით მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა მანქანათა და დაზგათმშენებლობა, სამთამადნო დარგი, მზარდი რაოდენობით მოითხოვენ კვალიფიციური მუშახელის ახალ კადრებს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემა. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების ამ სისტემამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა, სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებმა მოგვცეს ათასობით მომზადებული კვალიფიციური მუშა, რომლებიც გვიჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ მაგალითებს, გადიდებულ საწარმოო დავალებათა შესრულების მაღალ ოსტატობას, ახალი ტექნიკის ათვისების დიდ უნარს.

ის უმაგალითო შრომითი აღმავლობა, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ამ თვეებში, მნიშვნელოვანწილად მოწმობს მრეწველობასა და ტრანსპორტზე მოსული ამ ახალი კადრების მხრივ საწარმოო დავალებების შესრულებისათვის პატრიოტულ თავდადებას.

მარტო საქართველოში განვლილი 7 წლის მანძილზე შრომითი რეზერვების სისტემამ მოამზადა და ახალი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის ფრონტზე დააყენა 30.000-მდე კვალიფიციური, ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მუშა. საუკეთესოდ მომზადებული, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების გამოშვებით თავი ისახელეს მთელმა რიგმა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა, რომლებმაც შესძლეს ახალგაზრდებისათვის აღზრდის საუკეთესო რეჟიმის შექმნა, პროფესიების ათვისებით დაინტერესება. მაგალითად, ჭიათურის სამთამადნო საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლამ (დირექტორი ამხ. ფხალაძე) დიდი დახმარება გაუწია მარგანეცის მრეწველობას კვალიფიციურ ახალგაზრდა მაღაროელთა მომზადებით. ასევე კარგად არის დაყენებული მუშაობა გორის მე-11 სარკინიგზო (დირექტორი ამხ. მიხანაშვილი), თბილისის მე-8 (დირექტორი ამხ. როსებაშვილი) და მე-12 (დირექტორი ამხ. გვენცაძე), მახარაძის 22-ე (დირექტორი ამხ. სალუქვაძე) და ბევრ სხვა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში.

ამჟამად საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში გაწვეულ უნდა იქნას 7.845 ახალგაზრდა. ამ რიცხვიდან 2.700 ახალგაზრდა გაწვეული იქნება სამთამადნო საფაბრიკო-საქარხნო სწავლების იმ სკოლებში, რომლებიც უახლოეს დღეებშივე უნდა მოეწყოს და გაიხსნას ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში.

გარდა ამისა, ოქტომბრის განმავლობაში უნდა მოეწყოს 5 ახალი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკასთან, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანასთან და მთელ რიგ სხვა დიდ საწარმოებთან და სამშენებლო ობიექტებთან.

ახალი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოწყობა, არსებული სასკოლო ქსელის სრულ მზადყოფნაში მოყვანა ახალგაზრდობის ასეთი დიდი ახალი ნაკადის მისაღებად მეტად პასუხსაგები ამოცანაა. შრომითი რეზერვების რესპუბლიკურმა სამმართველომ, მისი ქსელის მუშაკებმა, იმ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სადაც ეს სკოლები უნდა მოეწყოს, აგრეთვე საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორედ ახლა, ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებისას უნდა გამოავლინონ ოპერატიული მუშაობის უნარი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი და უზრუნველჰყონ სკოლების მოწყობა და გახსნა, მოსწავლეთა ახალი ნაკადის მომზადებულად მიღება. განსაკუთრებით დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ ჩვენი სამთამადნო მრეწველობის ხელმძღვანელებს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ტყიბულქვანახშირისა და ტყვარჩელქვანახშირის ხელმძღვანელებს. საჭიროა, რათა სასწრაფოდ გამოვნახოთ სკოლებისათვის შესაფერისი შენობები, შევიძინოთ ინვენტარი, კარგად მოვაწყოთ საერთო საცხოვრებლები, სასადილოები, შევქმნათ ყოველგვარი პირობები, რომლებიც საჭიროა სწავლის ნორმალურად დაწყებისათვის.

გაწვევის სახელმძღვანელოდ რაიონებში უკვე ჩამოყალიბებულია ადგილობრივი გამწვევი კომისიები. ახალგაზრდობის გაწვევის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ამ კომისიების მოქნილობაზე, იმაზე, თუ როგორ დაეხმარებიან მათ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და განსაკუთრებით კომკავშირული ორგანიზაციები. საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, აღვუძრათ ახალგაზრდობას სკოლებისაკენ ლტოლვის ინტერესი, განვუმარტოთ თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი სტალინური ხუთწლედით დასახულ დიად ამოცანათა შესრულებისათვის კადრების მომზადებას, რა შეღავათებითა და უპირატესობით სარგებლობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, განსაკუთრებით სამთამადნო მოკლევადიან სკოლებში წასული ახალგაზრდები.

ახალგაზრდობის სკოლებში მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. წარმატებით ჩავატაროთ გაწვევა, მოვუმზადოთ ჩვენს მრეწველობას მაღალკვალიფიციურ მუშათა ახალი კადრები!

საბჭოთა კავშირში

სერგო ორჯონიკიძის ძეგლი

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკურ ცენტრში ქალაქ ძაუჯიყაუში შეუდგნენ სერგო ორჯონიკიძის ძეგლის აგებას.

სამშენებლო მოედანზე უკვე მოიტანეს სერგო ორჯონიკიძის მონუმენტური ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც ჩამოსხმულია ლენინგრადში.

ფილმი „საბჭოთა უკრაინა"

კიევი, 27 სექტემბერი. (საკდესი). დამთავრდა ფერადი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „საბჭოთა უკრაინის" გადაღება. რომელშიც ასახულია რესპუბლიკის აღორძინებული სახალხო მეურნეობა. ფილმში გადაღებულია უკრაინის მშვენიერი პეიზაჟები, დნეპრჰესის, დონბასის შახტების აღდგენა, მოსავლის აღება.

მნახველი ეკრანზე დაინახავს საბჭოთა ადამიანების, რესპუბლიკის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გმირულ შრომას.

ფილმი „საბჭოთა უკრაინა" ეკრანებზე ნაჩვენები იქნება დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება

ი. ბ. სტალინის სახელობის ფიზიკური კულტურის ცენტრალურ სახელმწიფო ინსტიტუტთან მოსკოვში და ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან ლენინგრადში ეწყობა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა სრულყოფის განყოფილება. მეცადინეობა დაიწყება 15 ნოემბერს.

განყოფილებანი მასწავლებელთა მოსამზადებლად არსდება მწვრთნელთა მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის სკოლებთან. ოქტომბერში ამ განყოფილებებში ჩაირიცხება 250 სპორტის ოსტატი და პირველი თანრიგის სპორტსმენი. სწავლის კურსი ორწლიანი იქნება. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის გზაზე

30 წლის წინათ, 1917 წლის 17 (30) სექტემბერს გაზეთ „რაბოჩი პუტში" გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის ცნობილი სტატია: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". სამი დღით ადრე ვ. ი. ლენინმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისწერა წერილი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ამ წერილებში დიდი ბელადები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში პარტიას აძლევდნენ ნათელ მითითებებს ტაქტიკის ძირითად საკითხებზე — დროებითი მთავრობის წინააღმდეგ იერიშის ორგანიზაციისა და შეიარაღებული აჯანყების გზით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის შესახებ.

ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, თავისი განვითარების თვალსაზრისით ორი სტადია განვლო, პირველი — ივლისის ამბებამდე, როდესაც საქმე გვქონდა ორხელისუფლებიანობასთან, ხოლო მეორე — კორნილოვის ამბოხების განადგურების შემდეგ.

პირველ სტადიაზე ეს ლოზუნგი ნიშნავდა:

„მენშევიკებისა და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან (ვინაიდან საბჭოები მაშინ მენშევიკურ-ესერული იყო), თავისუფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ე. ი. ბოლშევიკებისათვის) და პარტიების თავისუფლად ბრძოლას საბჭოების შიგნით იმ ვარაუდით, რომ ასეთი ბრძოლით ბოლშევიკები შესძლებდნენ საბჭოების დაპყრობას და საბჭოთა მთავრობის შემადგენლობის შეცვლას რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით". (იხ. ლენინი და სტალინი—„ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ", გვ. 225).

მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციის ხელში გადავიდა, მენშევიკ-ესერებმა საბჭოები ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის უბრალო დამატებად გადააქციეს, მოისპო ორხელისუფლებიანობა, მოისპო რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარების შესაძლებლობა. პროლეტარიატს ღარიბ გლეხებთან კავშირში ძალაუფლების ხელში აღება ახლა მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით, ბურჟუაზიული დიქტატურის ძალდატანებით დამხობის გზით შეეძლო. ამ პერიოდში არსებული საბჭოები ბურჟუაზიული მთავრობის ხელისშემწყობთა როლში გამოდიოდნენ, ამიტომ მათთვის ძალაუფლების გადაცემის მოთხოვნა ნიშნავდა მტრის სასარგებლოდ მუშაობას.

მაგრამ კორნილოვის ამბოხების განადგურების შემდეგ მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, მუშათა დეპუტატების საბჭოები ბოლშევიკების მხარეზე გადავიდნენ და რევოლუციის განვითარების ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო, დამთავრდა რევოლუციურ ძალთა მობილიზაცია და ნიადაგი მომზადდა იერიშის ორგანიზაციისათვის — ბოლშევიკებმა კვლავ წამოაყენეს ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" მაგრამ ეს ლოზუნგი ამჯამად სულ სხვა შინაარსის შემცველი იყო. იგი ნიშნავდა აჯანყებას კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, იგი ნიშნავდა მთელი ძალაუფლების ისეთი საბჭოებისათვის გადაცემის მოთხოვნას, რომელთა სათავეშიც ბოლშევიკები იდგნენ. იგი ნიშნავდა „რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით. უფრო მეტიც: ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ გაფორმებას". (სტალინი).

ყოველივე ამისათვის ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა გენერალ კორნილოვის ამბოხების განადგურებამ, რამაც ერთი დაკვრით ნათელჰყო რევოლუციის გამარჯვებისათვის გადამწყვეტი პირობები, სახელდობრ: ა) რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალთა თანაფარდობის შეცვლა რევოლუციის სასარგებლოდ; ბ) ბოლშევიკური პარტიის გადაქცევა რევოლუციის ისეთ ძალად, რომელსაც მტკიცედ, გაბედულად და რწმენით მიჰყავდა მშრომელი მასები იერიშზე ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ; გ) გამოფხიზლება საბჭოებისა, რომლებიც, როცა მათ ბოლშევიკები ჩაუდგნენ სათავეში, უდიდეს ძალებს იძლეოდნენ კონტრრევოლუციის უკუსაგდებად.

კორნილოვშჩინასთან ბრძოლამ საბჭოები გამოაცოცხლა, გამოიყვანა რევოლუციური ბრძოლის გზაზე და საბოლოოდ გაათავისუფლა შემთანხმებლური პოლიტიკის ტყვეობიდან. მოხდა საბჭოების სწრაფი ბოლშევიზაცია. პეტროგრადის და მოსკოვის მენშევიკურ-ესერული პრეზიდიუმი გადადგა და იძულებული გახდა გზა დაეცალა ბოლშევიკებისათვის.

გარდატეხა მოხდა გლეხობაშიც. ღარიბი გლეხობის ფართო მასები უფრო მტკიცედ დაირაზმნენ ბოლშევიკების გარშემო. საშუალო გლეხობამ, რომელიც მერყეობას იჩენდა კორნილოვშჩინის დამარცხების შემდეგ, მკვეთრი შემობრუნება იწყო ბოლშევიკური პარტიისაკენ.

კონტრრევოლუცია მთელ ძალებს ძაბავდა მზარდი რევოლუციური აღმავლობის შესაჩერებლად. კერენსკი მთელი სისასტიკით უსწორდებოდა საბჭოებს, რომლებმაც კორნილოვის ამბოხების დღეებში ბოლშევიკებს დაუჭირეს მხარი, იცემოდა საიდუმლო ბრძანებები ასეთი საბჭოების აფეთქების, რევოლუციური კომიტეტების დაშლის შესახებ.

მოვლენათა მსვლელობამ წინა პლანზე წამოაყენა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყების წარმატებით დამთავრებისათვის ყველა აუცილებელი წინაპირობა შექმნილი იყო.

ამ პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ ორ წერილში „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება" და „მარქსიზმი და აჯანყება" ლენინი განიხილავდა რა აჯანყებას, როგორც ხელოვნებას, განსაზღვრავდა მის ძირითად წესებს და სახავდა აჯანყების კონკრეტულ გეგმას. „საკითხი ის არის, რომ **ამოცანა** ნათელი გახდეს პარტიისათვის. დღის წესრიგში დავაყენოთ **შეიარაღებული აჯანყება პიტერსა და მოსკოვში** (ოლქიანად). ძალაუფლების დაპყრობა, მთავრობის დამხობა",— მიუთითებდა ლენინი პარტიას. (იხ. ლენინი. ტ. XXI, გვ. 194).

ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ არ შეიძლება მარქსიზმისა და რევოლუციის ერთგული დარჩე, თუ აჯანყებას ისე არ მოეპყარი როგორც ხელოვნებას. ლენინი მიუთითებდა, რომ საჭიროა შეიარაღებული აჯანყების სერიოზული მომზადება, რადგან იგი პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც განსაკუთრებულ კანონებს ექვემდებარება.

ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს წინაპარლამენტს და ლენინის გეგმის თანახმად აჯანყებისათვის მზადებას შეუდგნენ. ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის მთელი მუშაობა აჯანყების გზით წარმართა. ამხანაგ სტალინის გამოსვლები, წერილები, სტატიები სექტემბრის შუა რიცხვებიდან 24 ოქტომბრამდე შეიცავენ მოწოდებას, რომ პარტია გულდასმით მოემზადოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მიერ ხელისუფლების დაპყრობისათვის. „რევოლუცია მოდის,— სწერდა ამხანაგი სტალინი სტატიაში „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" — ივლისის დღეების ქარცეცხლში გამოვლილი და მოსკოვის თათბირზე „დამარხული" იგი კვლავ მაღლა სწევს თავს, ამსხვრევს ძველ დაბრკოლებებს, ჰქმნის ახალ ხელისუფლებას.

ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან თითქმის მკვდარი საბჭოები. ისინი კვლავ დგებიან საჭესთან და წინ მიუძღვიან რევოლუციურ მასებს". (იხ. თხზ. ტ. III. გვ. 297).

სტატიაში „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" ამხანაგი სტალინი მკაცრად ამხელდა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის გეგმებსა და მოქმედებას, კონტრრევოლუციისა, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი განადგურება. ამხანაგი სტალინი აშკარავებდა კერენსკის, როგორც შენიღბულ კორნილოველს, რომელიც მოქმედებდა ლოზუნგით: „მთელი ძალაუფლება იმპერიალისტურ ბურჟუაზიას". ამხანაგი სტალინი პირდაპირ სვამდა საკითხს — ან კერენსკის მთავრობის ხელისუფლება, რის შედეგიც იქნება მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, ომი და რღვევა, ანდა საბჭოების ხელისუფლება, რის შედეგიც იქნება მუშათა და გლეხთა ბატონობა, მშვიდობა და რღვევის ლიკვიდაცია.

ამხანაგი სტალინი სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხელისუფლების ყოველი კრიზისის დროს ეს საკითხი დღის წესრიგში იდგა, მაგრამ შემთანხმებლები ახერხებდნენ მისთვის გვერდის ავლას, ღალატობდნენ მუშათა კლასს და ყოველთვის ბურჟუაზიას უთმობდნენ ძალაუფლებას. მაგრამ დადგა დრო, როცა ცხოვრების მიერ პირდაპირ დაყენებული საკითხი მოითხოვდა ნათელ პასუხს — საბჭოებისაკენ, ან მათ წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტია, მისი დიდი ბელადები — ლენინი და სტალინი მტკიცედ რაზმავდნენ პარტიასა და მუშათა კლასს, ყოველდღიურად — გამოსვლებში, წერილებში, თათბირებზე განუმარტავდნენ მუშათა მასებს ბოლშევიკების პოლიტიკას, ნიღაბს ხდიდნენ დროებითი მთავრობის მოღალატურ საქმიანობას, მის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მოუწოდებდნენ საბჭოებს ხელში აეღოთ სახელმწიფო ძალაუფლება, მოეწყოთ გადამწყვეტი იერიში ბურჟუაზიისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ, დაემყარებინათ საბჭოების ხელისუფლება.

„მთელი ძალაუფლება საბჭოებს!".

ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის ამ ლოზუნგით ირაზმებოდა რუსეთის მუშათა კლასი, ამზადებდა თავის ძალებს დიადი ოქტომბრისათვის, რომელმაც მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს გადასცა და კაცობრიობის ისტორიაში დასაბამი მისცა ახალ ერას— სოციალისტური რევოლუციის ერას.

ქ. ანთიძე

გორის რაიონი. სოფელი თორტიზა. კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანი". შარშან ამ კოლმეურნეობამ ჰექტარზე 245 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აიღო. წელს მოსავალს კიდევ უკეთესი პირი უჩანს. კოლმეურნეობა ჰექტარზე სულ მცირე 400 ცენტნერ ჭარხალს აიღებს. სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბერძენიშვილი (მარცხნივ) და ბრიგადირი ნ. სირბილაძე არკვევენ ჭარხლის მოსავალს პლანტაციაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

რთველი ვარციხეში

ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს. 5-6 წლის განმავლობაში მეურნეობაში არ ჩატარებულა სარემონტო სამუშაოები, ვაზიც დაკნინდა და მცირე მოსავალს იძლეოდა.

წელს მეურნეობის მუშაკებმა (დირექტორი ამხ. ვ. ნიკოლაიშვილი, უფროსი მეღვინე ს. ყიფიანი) ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ვენახების დამუშავებას. ვაზი თანდათან გაჯანსაღების გზაზეა. შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მოსავალი მიიღეს. წელს მეურნეობამ კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და ადგილობრივი ვენახიდან მიღებული 11.880 ცენტნერი ყურძენი უნდა გადაამუშაოს. მიღებული 6.000 დეკალიტრი ღვინო განკუთვნილია სუფრის საძველო ღვინოებისათვის, 8.000 დეკალიტრი სალხინოსათვის, 9.000 დეკალიტრი საკონიაკე სპირტისა და 10.000 დეკალიტრი ყურძნის წვენის დასამზადებლად. აქვე დიდი რაოდენობით დაამზადებენ ბაქმაზისათვის ტკბილს და პორტვეინის მასალებს.

მეურნეობაში თავის დროზე მიიღეს ყოველგვარი ზომები ცენტრალური სარდაფის წესრიგში მოსაყვანად, სადაც დიდი რაოდენობით ხდება სამარკო ღვინოების—„ვარციხის", „ცოლიკაური № 67-ის", „იმერულისა" და სხვ. დამზადება. გარდა ამისა, შეკეთდა ყველა საამქრო, სადაც სწარმოებს ისეთი რთული ოპერაციები, როგორიც არის ტკბილი შემაგრებული ღვინოების „სალხინო № 3-ის", „პორტვეინ № 36-ისა" და „37-ის" შენახვა და დამუშავება, ყურძნის წვენის პასტერიზაცია, „სალხინოსათვის" ღვინო-მასალის დამზადება, ბაქმაზის გადამუშავება.

ადგილობრივი ძალებით, შინაგანი რესურსების გამოყენებით შეკეთდა ყველა საამქრო, განაახლეს წნეხები, ელექტროგაყვანილობა, ვაკუუმაპარატები, ელექტროდგუშები, ადგილობრივ საკასრე საამქროში დიდი რაოდენობით დამზადდა ტარა-მასალა. სრულ წესრიგზე მოიყვანა ელექტროგაყვანილობა უფროსმა მონტიორმა ვ. შუბაშვილმა. ენერგიულად იმუშავა უფროსმა მექანიკოსმა გ. კებულაძემაც. აღსანიშნავია აგრეთვე „იზაბელას" განყოფილების უფროსი მუშის კომუნისტ კ. გუმბერიძისა და მანმონის წნეხებზე მომუშავე ბრიგადირ ი. გოგლიჩაძის, აგრეთვე თ. ტალახაძის, ნ. სალარიძის, ნ. გამეზარდაშვილის, ი. კოჩივარის და სხვების კარგი მუშაობა. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ. თავდადებული შრომით თავი ისახელეს აგრეთვე მეურნეობის მოწინავე მუშა ქალებმა მ. ბერძენიშვილმა, რ. ალატორცევამ, კ. გალუშკინამ და სხვებმა.

რთველის სეზონისათვის მეურნეობის ტერიტორიაზე მოეწყო პირველი დახმარების პუნქტი, გამოიყო ყურძნის ჩამბარებელ კოლმეურნეთათვის დასასვენებელი სპეციალური ოთახი, მოეწყო წითელი კუთხე, სადაც გაიყვანეს რადიო, მოამარაგეს ჟურნალ-გაზეთებით. 15 სექტემბრისათვის მეურნეობა ყოველმხრივ მზად იყო. 27 სექტემბრიდან უწყვეტად იწყო შემოსვლა ყურძნით დატვირთულმა ურმებმა და ავტომანქანებმა. ისინი მოდიან მახლობელი სოფლებიდან. ქარხანაში შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა. ყურძნის მიმღებ პუნქტს არ სცილდება მეღვინე-ტექნოლოგი ამხ. გ. მაჭავარიანი, სწრაფად ზომავს ტკბილის შაქრიანობას ლაბორატორიის გამგე თ. სტურუა, საამქროებს თავს დასტრიალებს მეურნეობის ძველი მუშა, მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ხვიჩია.

— მეურნეობის კოლექტივის წინაშე მარტო რთველის კარგად ჩატარების ამოცანა როდი დგას,—განაცხადა უფროსმა მეღვინემ ს. ყიფიანმა,—ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მაიაკოვსკის, ვანის, ქუთაისის ქარხანათა სამმართველოების მიერ გადამუშავებული ღვინოების მიღება-დაძველება. ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ ამის გაკეთებას ჩვენი კოლექტივი შესძლებს.

ყველაფერი ეს მართლაც შესაძლებელია გაკეთდეს დაუღალავი შრომით. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დაუღალავად მუშაობს დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მ. ვარდოსანიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ყურძნის მოსავლის აღება და გადამუშავება

საქართველოს ვენახებში გაჩაღებულია მოსავლის აღება. რესპუბლიკის მევენახეობის უდიდესი საბჭოთა მეურნეობის „წინანდლის" შემდეგ მოსავლის აღება დაამთავრა და დიდი გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა წითელწყაროს რაიონმა. მოსავლის აღება მთავრდება ყვარლისა და სიღნაღის რაიონებში.

სრული დატვირთვით მუშაობენ სამტრესტის ღვინის ქარხნები. მათ უკვე გადაამუშავეს 69 ათასზე მეტი ცენტნერი ყურძენი.

მიმდინარე სეზონში რესპუბლიკის ღვინის მრეწველობა მოგვცემს 1.100.000 დეკალიტრ სუფრის ღვინოს, ორ მილიონ ბოთლ შამპანურს, ათიათასობით დეკალიტრ ლიქიორს, კონიაკს, ყურძნის წვენს. დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის სამტრესტის ქარხნები გამოუშვებენ ახალი მარკის მაღალხარისხოვან კახურ ღვინოს „ტიბაანს", „რაჭულ-თეთრას", „გურჯაანს", აგრეთვე საიუბილეო კოლოფებს ლიქიორებით „კოლხიდა", „ნუშისა" და სხვებს. (საქდესი).

ნარმაზებით დავამთავროთ ციტრუსოვანთა მყნობა

ციტრუსოვანთა მყნობის დამთავრების დაწესებული ვადა უკვე ამოიწურა.

ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს როგორც ლიმონის, ისე ფორთოხლის მყნობის გეგმები, დაამყნეს 1.053.000 ძირი ციტრუსი, ნაცვლად 1.000.000 ძირისა.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 200.000 ძირის ნაცვლად 210.600 ძირი ციტრუსი დაამყნეს, გადაჭარბებით შეასრულეს ლიმონის მყნობის გეგმა, ფორთოხლის მყნობის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას კი 14.500 ძირი დააკლეს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ყველა რაიონმა ციტრუსოვანთა მყნობის გეგმები წარმატებით შეასრულა. სულ დაამყნეს 1.603.000 ძირი, აქედან ლიმონის მყნობის გეგმა 100,1 პროცენტით არის შესრულებული, ფორთოხლისა— 100,3 პროცენტით.

გეგმა შეასრულა აჭარის ასს რესპუბლიკამაც.

ციტრუსოვანთა მყნობის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აბაშის რაიონებსა და ფოთში.

ლიმონისა და ფორთოხლის მყნობის გეგმების შესრულებაში არიან ჩამორჩენილნიც. ჩხოროწყუს რაიონში დავალება მხოლოდ 45 პროცენტით განაღდეს, ხობის რაიონში—76, გეგეჭკორის—82, წალენჯიხის—95, ზუგდიდის რაიონში—97,5 პროცენტით.

ხობისა და ზუგდიდის რაიონებში არც კი დაუწყიათ ფორთოხლის მყნობა. მათ არც ლიმონის მყნობის გეგმები შეუსრულებიათ. ჩხოროწყუს რაიონმა გეგმის შესრულებას დააკლო 55.000 ძირი ლიმონი, გეგეჭკორის რაიონმა — 18.000 ძირი, წალენჯიხისამ—5.000 ძირი.

მახარაძის რაიონში მყნობის საერთო გეგმა 102,5 პროცენტით არის შესრულებული, ფორთოხლის დარგში დავალება 234 პროცენტით არის განაღდებული, ლიმონის მყნობის გეგმის შესრულებას კი 17,2 პროცენტი აკლია.

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში გეგმით გათვალისწინებული 9.200.000 ძირის ნაცვლად დამყნობილია 9.216.700 ძირი ციტრუსი, აქედან 157.000 ძირი ფორთოხალი გეგმის გადამეტებით არის დამყნობილი, ლიმონის მყნობის გეგმის შესრულებას კი 140.000 ძირი აკლია.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ნაყოფიერად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, უახლოეს 3-5 დღეში მთლიანად შევასრულოთ გეგმები ასორტიმენტის მიხედვით ყველა რაიონსა და კოლმეურნეობაში.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის

პარტიის სოფლის რაიონული კომიტეტი წარმოადგენს პოლიტიკური მუშაობის ცენტრს. იგი მოწოდებულია განუწყვეტლივ იზრუნოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, კოლმეურნეობათა სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, ხორცი შეასხას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დიდი სტალინის მიერ დასახულ პროგრამას. რაიკომის მაორგანიზებელი როლის შესრულება კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოქნილად იმუშავებს რაიკომი, რამდენად უნარიანად გამოიყენებს იგი საკუთარ აქტივს მუშაობაში. ამიტომ პარტიის რაიკომის ყოველი ხელმძღვანელის, ყოველი მუშაკისა და სოფლის კომუნისტებისათვის საინტერესოა ის საკითხი, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" წამოაყენა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ნომერში მოთავსებული წერილით: „რაიკომი და ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი".

რაიკომის აქტივის მიმაგრება სოფლად ამა თუ იმ კამპანიის ჩასატარებლად ორ მიზანს ემსახურება: ჯერ ერთი, კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის ქმედითი დახმარების გაწევით ამ კამპანიის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფას და მეორე—კონკრეტულ სამუშაოზე თვით აქტივის აღზრდას, მის აღჭურვას ხელმძღვანელობის უნარით. აქედან სათანადო დასკვნებიც გამომდინარეობენ: პირველი—აქტივი უნდა მივამაგროთ იმ სამეურნეო ხელმძღვანელს, რომელსაც არა აქვს საკმაო გამოცდილება და დახმარებას საჭიროებს, მეორე—აქტივის კონკრეტულ სამუშაოზე აღზრდისათვის საჭიროა რაიკომი ბეჯითად ადევნებდეს თვალყურს, ოპერატულად ხელმძღვანელობდეს და წარმართავდეს მის მუშაობას. მცდარია ის პრაქტიკა, როდესაც რაიკომი განურჩევლად ყველა კოლმეურნეობას ამაგრებს აქტივს, ვინაიდან ეს მეტწილად ახშობს სამეურნეო ხელმძღვანელის, კერძოდ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ინიციატივას. ასევე არასწორია, როდესაც რაიკომი სოფელზე მიმაგრებულ აქტივისტს სტოვებს ბედის ამარა, არ უწევს მას ჯეროვან კონტროლს, არ ხელმძღვანელობს, ამან შესაძლოა მიგვიყვანოს ცუდ შედეგამდე, მიმაგრებულის მხრივ კოლმეურნეობის თავმჯდომარის გაუპიროვნებამდე.

მარნეულის რაიონში 72 კოლმეურნეობაა, არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ერთნაირი ძალითა და ერთნაირად მუშაობდეს—არიან მოწინავენი და არიან ჩამორჩენილნიც. მაგალითად, წელს ხორბლეულის უხვი მოსავალი მიიღო 43 კოლმეურნეობამ, 21 კოლმეურნეობამ დავალება მთლიანად შეასრულა, ხოლო ცუდი მოვლა-დამუშავების გამო ყანები გაუცდა და მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა 8 კოლმეურნეობამ.

როდესაც სოფლებზე აქტივისტებს ვამაგრებთ, მხედველობაში გვაქვს სწორედ ეს სუსტი უბნები—ის კოლმეურნეობანი, რომლებიც ჩამორჩებიან მუშაობაში. კოლმეურნეობებზე აქტივის მიმაგრების ასეთ პრაქტიკას კარგი შედეგი მოაქვს. მაგალითად, შარშან თითქმის ყველა სამუშაოში ჩამორჩა სოფელ გიაურარხის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. წელს ამ კოლმეურნეობაზე აქტივისტი ამხ. ა. აივაზოვი მივამაგრეთ. მაგრამ რაიკომმა მარტო ამით როდი ამოსწურა საქმე. რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე და ამ განყოფილების აგრონომები სისტემატურად დადიოდნენ კოლმეურნეობაში, ამოწმებდნენ მის მუშაობას, ეხმარებოდნენ რჩევა-დარიგებით. ასე იყო გაზაფხულზე, — თამბაქოს კვლებში გადარგვისას, როდესაც თავმჯდომარემ დ. ალიევმა ვერ უზრუნველჰყო ყველა კოლმეურნის გამოსვლა სამუშაოზე. რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციის მდივანთან ერთად ჩაატარა აგიტატორების თათბირი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. აგიტატორები ეწვივნენ იმ კოლმეურნეებს, რომლებიც სამუშაოზე არ გამოდიოდნენ, ჩაატარეს მათ შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მალე ამ მხრივ კოლმეურნეობაში მდგომარეობაც გამოსწორდა. წელს ეს კოლმეურნეობა რაიონში მოწინავეა. ასეთი ეფექტიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად დაწინაურდა წარსულში ჩამორჩენილი 7 კოლმეურნეობა. მათ შორის უნდა აღინიშნოს სოფელ ლექაბადინის კოლმეურნეობა „ენი კენდი", გიულბახის სტალინის სახელობის და სოფელ ქეშლოს კოლმეურნეობები, რომლებმაც მარცვლეულის უხვი მოსავალი მიიღეს.

რაიკომმა სერიოზული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ მიმაგრებულ ამხანაგებს შეეძინათ პარტიული მუშაობის გამოცდილება, ესწავლათ თუ როგორ უნდა იმუშაოს მისთვის მინდობილი საკითხის შესასრულებლად. წინათ მასობრივად და ახლაც ცალკეულ შემთხვევაში რაიკომიდან მიმაგრებულს თავი მიაჩნდა ერთგვარ სამეურნეო რწმუნებულად კოლმეურნეობაში და ივიწყებდა იმას, რომ იგი მოწოდებულია ყოველი სამეურნეო საკითხის წარმატება უზრუნველჰყოს პარტიული მუშაობით, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით, მასზე დაყრდნობით. ამ მხრივ გაწეულმა სათანადო მუშაობამ თავისი შედეგები გამოიღო. საქმეს დაეუფლნენ და კარგად ასრულებენ დავალებებს აქტივისტები: პ. ლონდარიძე, დ. მამედოვი, თ. ურუმოვი და ი. ბაირამოვი. მაგალითად, რაიკომიდან მიმაგრებულმა ამხ. თ. ურუმოვმა სოფელ ხოჯორნის კოლმეურნეობაში მოსავლის აღების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე პარტორგანიზაციის მდივანთან ერთად მოიწვია კრება, რომელზეც განიხილეს მომავალი სამუშაოების ჩატარების გეგმა, გულდასმით გაარჩიეს და ყოველ კომუნისტს მიუჩინეს თავისი სამუშაო ადგილი. ამის შედეგად მოსავლის აღებას კოლმეურნეობა მზად შეხვდა, მკაში და მინდვრის სხვა სამუშაოებში კომუნისტები და კომკავშირლები მოწინავენი იყვნენ, კარგად იყო დაყენებული აგიტაცია მინდვრად, გამოდიოდა საველე გაზეთები. კოლმეურნეებმა მოსავალი სამი დღით ადრე აიღეს, დანაკარგები მინიმალური იყო და საჰექტარო მოსავლიანობის გეგმაც გადაჭარბებით შეასრულეს. ასევე კარგად იმუშავეს მოსავლის აღებაზე რაიკომიდან მიმაგრებულებმა აშაღასერალის, სადახლოს, მარნეულის და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ყოველივე ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რაიონში ყველაფერი რიგზე იყოს. რაიონში არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. მათი დაწინაურება ჩვენი მორიგი ამოცანაა. რაიკომი ზრუნავს იმისათვის, რომ მათაც კარგი მაჩვენებლებით დაამთავრონ სამეურნეო წელი, გაადიდონ შრომადღის ღირებულება.

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს მიეცეთ მეტი ინიციატივის გამოჩენის საშუალება და გასაქანი მუშაობაში, ჩვენ აქტივისტებს არ ვამაგრებთ ისეთ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც უნარიანი ადამიანები ხელმძღვანელობენ. ამით აიხსნება ის, რომ 72 კოლმეურნეობიდან წელს 30-35 კოლმეურნეობაზე ვამაგრებდით ხოლმე დრო და დრო აქტივს. ამასთან აღსანიშნავია, რომ რაიკომი სოფელზე მისამაგრებლად მეტწილად იყენებს რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მოწინავე მუშაკებს, რომლებიც რაიკომის აქტივში შედიან.

აქვე უნდა აღინიშნოს საკითხის მეორე მხარეც. მართალია, მიმაგრებით გატაცება მავნე და საზიანოა, მაგრამ არის მეორე უკიდურესობის საშიშროება, ზოგიერთი მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბედის ანაბარად მიტოვების საშიშროება. ამას ჩვენ ვითვალისწინებთ და, თუ ზოგ კოლმეურნეობაში რომელიმე ამხანაგს არ ვგზავნით, კოლმეურნეობის ხელმძღვანელს პერიოდულად ვამოწმებთ და სათანადო დახმარებას ვუწევთ.

კოლმეურნეობაზე აქტივის მიმაგრება ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ფორმაა. რაიკომი ძირეულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს, როდესაც იგი ატარებს რაიონულ კონფერენციას, პლენუმებს, აქტივის კრებებს, თათბირებს და ზონალურ კრებებს. მაგრამ ხელმძღვანელობა მაშინაა ქმედითი და შედეგიანი, როდესაც ეს ღონისძიებანი დაკავშირებული არიან ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, რაიკომის აპარატის მუშაკების პრაქტიკულ საქმიანობასთან კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში. ყოველი დადგენილება, ღონისძიება შეიძლება ფარატინა ქაღალდად დარჩეს, თუ არ მოვაწყვეთ შესრულების შემოწმება. ამისათვის საჭიროა არა კაბინეტიდან — თათბირებისა თუ კრებების მეშვეობით ხელმძღვანელობა, არამედ მისვლა იქ, სადაც საქმის წარმატება წყდება, დახმარება ძირეული მუშაკებისადმი მათს ყოველდღიურ შემოქმედებით მუშაობაში. ხელმძღვანელმა რაიონულმა მუშაკებმა უნდა გამონახონ საამისო დრო და საშუალება. ეს ერთი შეხედვით ანბანური ჭეშმარიტება ბევრ შემთხვევაში ირღვევა. ცნობილია, რომ ზოგჯერ მიმაგრება რაიონული ხელმძღვანელი ამხანაგის უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საზიანო ხდება. ამ მხრივ ცალკეული ნაკლოვანებანი ჩვენთანაც იყო, რასაც მომავალში გამოვასწორებთ.

ძირეული ხელმძღვანელი კადრებისადმი ინდივიდუალური მიდგომით, მათი სწავლებით უშუალოდ პრაქტიკულ სამუშაოზე, მოწინავეთა დადებითი გამოცდილების განზოგადოებითა და დანერგვით, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურისათვის ინიციატივისა და შემოქმედებითი მუშაობის ფართო საშუალების მიცემით ჩვენ შევძლებთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საპატიო და პასუხსაგები ამოცანის პირნათლად შესრულებას.

შ. კოჩლაძე
საქართველოს კ. პ. (ბ) მარნეულის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთში უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ

ა. ა. გრომიკოს სიტყვა გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში 1947 წლის 27 სექტემბერს

აბერძნეთის საკითხს, როგორც
ბილია, ხანგრძლივი ისტორია
. იგი თითქმის არ შორდება გაერ-
ნებული ერების ორგანიზაციის
ს წესრიგს. ამ საკითხზე უკვე
ღენჯერმე უმუშავნია უშიშროების
ოს, რომელმაც მის განხილვას თა-
სხდომების თითქმის მესამედი
ძღვნა. სამწუხაროდ, უშიშროების
ომი ვერ მოხერხდა მისი ჯეროვა-
გადაწყვეტა საერთაშორისო მშვი-
ბის დაცვის სასარგებლოდ იმ მიზე-
ს გამო, რომლებზეც ქვემოთ შევ-
დები.
ტრის მიერ ოკუპაციით გამოწვეუ-
დიდი გაჭირვების მიუხედავად,
ალი ათასი ბერძენი მტრის წი-
მდეგ ბრძოლას ეწეოდა პარტიზა-
რაზმებში. საბერძნეთის ხალხს,
შორის წინააღმდეგობის ბევრ
გმირს, რომლებიც ოკუპაციის
პირობებში უთანასწორო ბრძო-
გზას დაადგნენ, იმის მოლოდინის
ება ჰქონდათ, რომ საბერძნეთის
ავისუფლების შემდეგ ხალხს შე-
ებლობა მიეცემოდა მოეწყო ქვეყ-
შინაგანი პოლიტიკური და ეკონო-
ი ცხოვრება მისი სურვილის შე-
მისად, დემოკრატიულ საფუძველ-
ამოეფხვრა მტრის მიერ ოკუპა-
შედეგები და თავისი ქვეყანა
ობიანი ცხოვრების გზაზე გამოე-
. სამწუხაროდ, ბერძენი ხალხის
ონიერი მოლოდინი არ გამართ-
. მტრის ჯარებისაგან განთავი-
ლებისთანავე საბერძნეთი, ერთი
ით, გახდა ობიექტი საბერძნეთის
ით ანტიდემოკრატიული ძალების
ოგებისა, რომელთა შორისაც
ლსაჩინო როლს ასრულებდნენ ის
ანები, რომლებიც მტერთან თა-
რომლობდნენ და ბერძენი ხალხის
მდეგ იბრძოდნენ; მეორე მხრით,
უცხოელთა უხეში ჩარევის ობიექ-
ახდა.
ულას გახსოვთ, რა სასტიკად იქნა
ბილი ბერძენი ხალხის ცდა —
რძნეთის შინაგანი ცხოვრება მოე-
დემოკრატიულ საფუძვლებზე და
სი საკუთარი სურვილის შესაბა-
დ. დემოკრატიის მტრებმა და კო-
რაციონისტებმა, რომლებიც უც-
ლთა ხიშტებს ემყარებოდნენ, მთე-
ძალღონე მოახმარეს იმას, რომ არ
ეთ დემოკრატიული რეჟიმის
არება საბერძნეთში. ინგლისელთა
ები ათენის ქუჩებში ბერძენ დე-
ატებს ხვრეტდნენ მხოლოდ იმი-
ს, რომ ისინი მოითხოვდნენ დე-
ატიული რეჟიმის შექმნას საბერ-
ში და მოუწოდებდნენ იმათ წი-
მდეგ ბრძოლისაკენ, ვინც სახელი
ება მტერთან თანამშრომლობით,
ამანების წინააღმდეგ, რომლე-
თავიდანვე ცდილობდნენ ჩაეხშოთ
რძნეთის დემოკრატია და საბერ-
ში ხალხის საწინააღმდეგო რეჟი-
ამყარებინათ.
. გრომიკომ მოკლედ დაახასიათა
ის საწინააღმდეგო პოლიტიკური
ში საბერძნეთში და ხაზი გაუსვა,
1946 წლის ეგრეთწოდებულმა
ისციტმა არა თუ არ გააუმჯობე-
რამედ კიდევ უფრო გააუარესა
ება საბერძნეთში. პლებისციტის
ენო ამბებმა გამოიწვიეს მდგო-
ბის უფრო მეტი გამწვავება სა-
ეთში. დაიწყო პროფკავშირებისა
თო მოღვაწეების სასტიკი დევნა.
კავშირთა ხელმძღვანელმა პაპა-
მა უშიშროების საბჭოს კომისიას
ცხადა, რომ პროფკავშირული
ობის ბევრ ხელმძღვანელს სცე-
ხამებენ და ასახლებენ. ტერორი
ნალისტური ფაშისტური ბანდე-
რომლებიც ოკუპანტებისაგან სა-
ეთის განთავისუფლების მომენ-
ვე დაუსჯელად თარეშობდნენ
ძნეთში, უფრო ძლიერდებოდა.
ბით ბერძენი დახვრიტეს ან სა-
რობებში ჩაჰყარეს. არ ინდობდ-
ლებსა და ბავშვებსაც კი. ტე-
განსაკუთრებით ფართო მას-
მიიღო ვარკიზის 1945 წლის
ერვლის შეთანხმების ჩაფუშვი-
1946 წლის 31 მარტის არჩევნე-
მდეგ. მე შემეძლო მომეყვანა
ლი ცნობა ამ ტერორის მსხვერპ-
შესახებ, მათ შორის საბერძნე-
ოფიციალური წყაროებიდან აღე-
ცნობები.
გრომიკომ შემდეგ მიუთითა დე-
ატიული რეჟიმის მომხრეებზე,
ებიც ათეულ ათასობით დააპა-
ეს და ათასობით მოჰკლეს და
ჟანდარმერიამ და მემარჯვენე
ებმა. უკანასკნელ ხანებში მდგო-
ობა კიდევ უფრო გაუარესდა. სა-
ეთის პრესის უკანასკნელი ცნო-
თანახმად, სიკვდილმისჯილთა
ენობამ 1947 წლის 6 სექტემბრი-
, სამხედრო-საველე სასამართ-
ის მოქმედების დაწყების მომენ-
, 479 კაცს მიაღწია. სიკვდილით
ლთა შორის არიან ქალები და
ები. კიდევ უფრო მეტია რიცხვი
ანებისა, სრულიად გაუსამართ-
დ რომ დახოცეს და აწამეს
რმერიამ და მემარჯვენე ბან-
რომლებიც კვლავ დაუსჯელად
რობენ თავიანთ სისხლისმღვრელ
ულობებს. განა გასაკვირველია,
სეთ პირობებში ათასობით ბერ-
ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ
ბრძოლის გზას დაადგა! ათეულ
ბით ადამიანებმა ამჯობინეს
წასულიყვნენ და შეიარაღებუ-
რძოლის გზას დასდგომოდნენ,
ქედი მოეხარათ ბერძენი ხალხი-
გარედან თავსმოხვეული რეჟი-

მის წინაშე და მის ფრთეთს ქვეშ მოთარეშე ფაშისტური ბანდების წინაშე. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ ამჟამად საბერძნეთში ფაქტიურად სამოქალაქო ომი სწარმოებს. ბრძოლა სწარმოებს არა მარტო ჩრდილოეთ საბერძნეთში, როგორც ზოგიერთი ცდილობს დაგვიმტკიცოს ეს, ბრძოლა სწარმოებს საბერძნეთის ყველა რაიონში. მან რამდენჯერმე იფეთქა კუნძულებზეც, რომლებიც, როგორც ცნობილია, ძლიერ დაშორებული არიან ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის საზღვრებს.

აი სადამდე მიიყვანეს საბერძნეთი იქ დამყარებულმა, ბერძენი ხალხისათვის საძულველმა წესებმა. საბერძნეთის ახლანდელი მმართველები ცდილობენ საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობა დააბრალონ საბერძნეთის მეზობელ სახელმწიფოებს — ალბანეთს, ბულგარეთსა და იუგოსლავიას, და მათ სრულიად დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებენ, თითქოს ეს ქვეყნები დახმარებას უწევენ ბერძენ პარტიზანებს და პროვოკაციულად იწვევენ სასაზღვრო ინციდენტებს.

საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საბერძნეთის მთავრობის ბრალდება ხელოვნურად არის წამოყენებული. მისი მიზანია მიაღწიოს ეგრეთწოდებული გარედან დახმარების გაძლიერებას იმისათვის, რომ მთელი ძალღონით შეინარჩუნოს საბერძნეთში დამყარებული ხალხის საწინააღმდეგო რეჟიმი. გარდა ამისა, ფაქტები მოწმობენ, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფ ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწეებს კიდევ უფრო ფართო გეგმები აქვთ. ბევრი მათგანი არ ჰფარავს, რომ მოუთმენლად მოელის კონფლიქტს დიდ სახელმწიფოებს შორის და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. ისინი აშკარად ავრცელებენ დანაშაულებრივ პროპაგანდას, რომ სასურველია ომი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ისინი მოუწოდებენ სლავური სახელმწიფოების წინააღმდეგ ომისაკენ და იყენებენ ჰიტლერული პროპაგანდის არსენალიდან აღებულ ცილისმწამებლურ და ცრუ მტკიცებებს. აი ომის ორ ასეთ გამჩაღებელთა მიერ გამოთქმული აზრები. არმიის გენერალურმა ინსპექტორმა სპილიოტოპულოსმა განაცხადა: „თვითეული, ვისაც არა სურს იომოს სლავებისა და მათი მოკავშირე კომუნისტების წინააღმდეგ, ბერძნად ვერ ჩაითვლება". (1947 წლის 6 თებერვლის გაზეთი „ელეფთერი ელადა").

ქალაქ ვერიაში სიტყვით გამოსულმა ზერვასმა განაცხადა: „სლავთა ძალების წინააღმდეგ საბერძნეთს ანგლოსაქსების დახმარების იმედი აქვს". (1947 წლის 23 მარტის გაზეთი „ემბროსი" და გაზეთი „ფოსი").

ფაშისტი ნაბოლარები ამზადებენ ახალი ომის გეგმას იმ მომენტში, როცა ხალხები, რომლებმაც განიცადეს უაღრესად ამაოხრებელი ომი, რაც ფაშისტურ სახელმწიფოებზე გაერთიანებული ერების გამარჯვებით დამთავრდა, ცდილობენ მოახდინონ ამ ომის შედეგების ლიკვიდაცია და მტკიცე მშვიდობა დაამყარონ. როგორც ვხედავთ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ომისაკენ მოუწოდებს არა მარტო მემარჯვენე პრესა, რომელსაც საბერძნეთის მმართველი წრეები უწევენ კონტროლს, არამედ ზერვასის თვალბედითი ფიგურის მსგავსი ადამიანებიც, რომლებიც თვალსაჩინო როლს თამაშობენ საბერძნეთის ახლანდელ რეჟიმში. იუგოსლავიისა, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობათა წარმომადგენლები, რომლებიც უშიშროების საბჭომ ამ საკითხზე დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია, ციფრებითა და ფაქტებით ამტკიცებდნენ, რომ ამ ქვეყნების დახმარება ბერძენი პარტიზანებისადმი, ისევე როგორც სასაზღვრო ინციდენტები, რომლებსაც ეს ქვეყნები თითქოს პროვოკაციულად იწვევენ,—მითია. უფრო მეტი, მათ ფაქტებით დაამტკიცეს, რომ სასაზღვრო ინციდენტებს იმ ზომით, რა ზომითაც ცნობები ინციდენტების შესახებ სიმართლეს შეეფერება, პროვოკაციულად იწვევენ საბერძნეთის სამხედრო ხროვა და საბერძნეთის ხელისუფალნი, რომლებმაც კიდევაც უნდა აგონ პასუხი ასეთი მოქმედებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის მთავრობის მტკიცება აშკარად აბსურდულია, და მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტების პროვოკაციულად გამოწვევაში საბერძნეთის ხელისუფალთა დანაშაულობა აშკარაა, აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ ცხადია მოტივები, რომლებითაც საბერძნეთის მთავრობამ ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდებანი წარადგინა უშიშროების საბჭოში, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა საბჭოში, ზოგიერთი სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მხარდაჭერით, შესაძლებლად არ ჩასთვალეს მიეღოთ ზომები ინციდენტების ნამდვილ გამომწვევთა წინააღმდეგ და აღეკვეთათ საბერძნეთის მთავრობის დაუსაბუთებელი მტკიცებანი, რასაც მოითხოვდა სსრ კავშირის წარმომადგენელი საბჭოში.

უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი უშიშროების საბჭოს კომისია ოთხი თვის მანძილზე აწარმოებდა ინციდენტების გამოკვლევას. ინციდენტების გამოკვლევის გარდა, მან შეაგროვა აგრეთვე უხვი და მრავალმხრივი ფაქტიური მასალა საბერძნეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ და სწორად სთვლიდა, რომ საბერძნეთისა და მისი მეზობლების ურთიერთობის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას საბერძნეთში შექმნილი მთელი იმ ვითარებისაგან მოწყვეტით, რომლითაც საბოლოო ანგარიშით აიხსნება მათ შორის ურთიერთობის წახდენა. კომისიამ თავისი მუშაობის შედეგი მოხსენების სახით წარუდგინა უშიშროების საბჭოს. მერე, რას გვეუბნება მოხსენება? მოხსენებაში მოყვანილი მრავალრიცხოვანი ფაქტიური ცნობები, რომლებიც უმთავრესად წარმოდგენილია მოწმეთა, მათ შორის დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენელთა, სიტყვიერი და წერილობითი ჩვენების სახით, ადასტურებენ საბერძნეთის მთავრობის იმ მტკიცების სრულ უსაფუძვლობას, თითქოს იმ მდგომარეობისათვის, რაც შექმნილია საბერძნეთში და კერძოდ მის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც პარტიზანთა ბრძოლა ყველაზე უფრო ინტენსიურია, პასუხისმგებელი არიან საბერძნეთის მეზობელი სახელმწიფოები. კომისიის მიერ დაკითხულ მოწმეთა უდიდესი უმრავლესობა კატეგორიულად უარჰყოფდა საბერძნეთის მთავრობისა და მის წარმომადგენელთა მტკიცებას, თითქოს ალბანეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია თავიანთ ტერიტორიაზე უშვებენ ბერძენ პარტიზანებს, აიარაღებენ მათ, სამედიცინო დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ ამ ქვეყნების ტერიტორიიდან მათს დაბრუნებას საბერძნეთის ტერიტორიაზე. ყველა ეს ბრალდება ყალბი აღმოჩნდა. დამტკიცდა მხოლოდ ერთი ფაქტი, რომელსაც არასოდეს არ უარჰყოფდნენ ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის მთავრობები, სახელდობრ ის, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე თავშესაფარი ჰპოვეს ათეულ ათასობით ბერძენმა მოქალაქეებმა, განსაკუთრებით მაკედონელებმა და ჩამებმა, რომელთა მიმართაც საბერძნეთის ხელისუფალნი ეწევიან სასტიკი დევნისა და ფიზიკური მოსპობის პოლიტიკას. ამ ადამიანებმა თავშესაფარი ჰპოვეს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე, რათა გადარჩენოდნენ საბერძნეთის ჟანდარმერიისა და ხიტოსთა ბანდების თვითნებობას. კომისიის მოხსენებაში მოყვანილია მრავალრიცხოვანი ცნობები საბერძნეთის ხელისუფლებისა და ბანდების მიერ ამ ეროვნულ უმცირესობათა ულმობელი დევნის შესახებ, მთელი სოფლების გადაწვის შესახებ, მკვლელობისა და წამების შესახებ, რასაც მიმართავენ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ამ უმცირესობებს ეკუთვნიან. მაგრამ როცა იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობები თავიანთ ტერიტორიაზე იღებენ ამ ლტოლვილებს, ისინი ისე იქცევიან, როგორც ანალოგიურ პირობებში ყოველი სხვა მთავრობა მოიქცეოდა. მათი ასეთი მოქმედება მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებსაც უკვე დიდი ხანია ანგარიშს უწევს ცივილიზებული კაცობრიობა. მართალია, მოხსენება შეიცავს ისეთი მოწმეების განცხადებებსაც, რომლებიც ჩვენებას აძლევდნენ საბერძნეთის ხელისუფალთა სასარგებლოდ სასაზღვრო ინციდენტების გამოძიებასთან დაკავშირებით. მაგრამ ასეთ მოწმეთა ჩვენება დაუსაბუთებელი და აბნეულია. ისინი წინააღმდეგობებითა და შეუსაბამობითაა აღსავსე და თავიდან ბოლომდე ცრუა. ზოგიერთმა ასეთმა მოწმემ კომისიის წინაშე უარი სთქვა მის მიერ წინათ მიცემულ ჩვენებაზე და განაცხადა, რომ ეს ჩვენება ყალბი იყო. ასეთი განცხადებანი გააკეთეს, მაგალითად, მოწმე გაციოსმა და მოწმე ზახოსმა. უკანასკნელმა განაცხადა, რომ მისი წინანდელი ჩვენება მიცემული იყო ცემისა და მუქარის შედეგად. ეს ცალკეული შემთხვევები როდია. იმ მოწმეთა შორის, რომლებმაც საბერძნეთის ხელისუფალთა სასარგებლოდ მისცეს ჩვენება, ცოტა როდი იყო ისეთი პირები, რომლებსაც სიკვდილის დასჯა ჰქონდათ მისჯილი და რომლებიც საბერძნეთის ჟანდარმერიამ და პოლიციამ მოისყიდეს სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით. და მაინც ზოგიერთმა მათგანმა ვერ შეასრულა საბერძნეთის ხელისუფალთათვის მიცემული სიტყვა და ბოლოს და ბოლოს მისცა მართალი ჩვენება იმის შესახებ, თუ დაპირებითა და ცემით როგორ აიძულეს ისინი დათანხმებულიყვნენ, რომ იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება. ამ მოწმეებმა გამოაამჟღავნეს როგორც თავიანთი თავი, ისე ისინი, ვინც მათ მოწმეებად ასახელებდა. გასაგებია, რომ ზოგიერთი მოწმის მორალურ-პოლიტიკური სახის გამო მათს ჩვენებას არაფერი არ დაუდასტურებია, და თუ დაადასტურა რამე, სწორედ საწინააღმდეგო. მათ დაადასტურეს, თუ რა ბინძურ მეთოდებს მიმართავენ საბერძნეთის ხელისუფალნი, როცა ცდილობენ საბერძნეთის მეზობელ ქვეყნებს დააბრალონ სასაზღვრო ინციდენტები და ბერძენ პარტიზანთათვის დახმარების გაწევა. მაგრამ კომისიასთან მყოფი საბერძნეთის წარმომადგენლები უმთავრესად ამგვარ ჩვენებებზე აგებდნენ თავიანთ ბრალდებას ამ ქვეყნების წინააღმდეგ. სულ სხვანაირია იმ ადამიანების ჩვენება, რომლებმაც კომისიას გადაუშალეს მართალი სურათი საბერძნეთში არსებული მდგომარეობისა, საბერძნეთის სამხედრო ხროვის სასაზღვრო პროვოკაციებისა, საბერძნეთის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ წარმოებული ტერორისა, ეროვნულ უმცირესობათა დევნისა, მემარჯვენე ბანდებისა და კოლაბორაციონისტების თავაშვებულობისა, რომლებიც ჩქმებს ულოკავდნენ ფაშისტ ოკუპანტებს და ერთგულად ემსახურებოდნენ მათ ოკუპაციის პერიოდში. ამ ადამიანთა ხმა თვით ბერძენი ხალხის ხმაა, რომელსაც თავისუფლად სუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევენ ფაშისტი ნაბოლარები. ყველა ეს ადამიანები ერთხმად აცხადებენ, რომ პოლიტიკური რეჟიმი საბერძნეთში მხოლოდ უცხოელთა ჩარევის წყალობით ბოგინობს. მათ შორის არიან ყველაზე თვალსაჩინო დემოკრატიული მოღვაწეები: ცირიმოკოსი — სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი, გრიგორიადისი — ლიბერალური პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი, კირკოსი — ეამის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, პაპარიგასი— შრომის გენერალური კონფედერაციის ხელმძღვანელი, პეტმეზასი—სრულიად საბერძნეთის დემოკრატიული ლიგის წარმომადგენელი, ახალგაზრდათა ორგანიზაციის ეპონის წარმომადგენლები და მრავალი სხვა. ამ ადამიანებს, ისევე როგორც ასობით მუშების, გლეხების, ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩვენება ჩვენს წინაშე ცხადჰყოფს იმ უფსკრულს, რომელშიც საბერძნეთი გადასჩეხეს მისმა ახლანდელმა მმართველებმა და მათმა საზღვარგარეთელმა ბატონებმა.

ვისაც სურს ნამდვილად გაერკვეს იმაში, თუ რა ხდება საბერძნეთში, და ვისაც ნამდვილად სურს დახმარების ხელი გაუწოდოს ბერძენ ხალხს, იმან ყური უნდა მიუგდოს, უწინარეს ყოვლისა, ამ ადამიანთა ხმას და არა ზერვასის ხმას, რომლის შესახებაც ზოგიერთი მსხვილი ამერიკული გაზეთიც კი სწერს, რომ იგი სიყვარულის გულისათვის ემსახურებოდა გერმანელებს, ფულის გულისათვის იტალიელებს, და არა მის მსგავსთა ხმას. უშიშროების საბჭოს თითქოს უნდა გამოეტანა დასკვნები, რომლებიც ფაქტებს შეესაბამება, დასკვნები, რომლებიც საბერძნეთში არსებული ვითარებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არ მომხდარა. საბჭოში ზოგიერთი სახელმწიფოს და, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატების მიერ დაკავებულმა პოზიციამ შეუძლებელი გახადა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმართული იქნებოდა ერთი მხრით საბერძნეთისა და მეორე მხრით ალბანეთისა, ბულგარეთისა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის წახდენის ნამდვილი და არა მოჩვენებითი დამნაშავეების წინააღმდეგ და რომელიც უზრუნველჰყოფდა იმ ნამდვილი მიზეზების თავიდან აცილებას, რომლებმაც გამოიწვიეს როგორც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესება, ისე საერთოდ მდგომარეობის გაუარესება საბერძნეთში. საბჭოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობაში მთავარი როლი შეასრულეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელთა წარმომადგენლებმა მთელი ძალღონე იხმარეს, რათა მიეღებინებინათ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გაამტყუნებდა უდანაშაულოებს და გაამართლებდა დამნაშავეებს, ანგარიშს არ გაუწევდა იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება ფაქტებისა და ლოგიკის აბუჩად აგდება იქნებოდა.

საბჭოს უკვე პირველ სხდომაზე, რომელიც კომისიის მოხსენების განხილვას მიეძღვნა, როცა მოხსენებისადმი თავისი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გამოეთქვა არც ერთ წარმომადგენელს, შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული სრულიად დაუსაბუთებელი მოთხოვნები. რეზოლუცია ითვალისწინებდა ეგრეთწოდებულ სასაზღვრო მეთვალყურეთა ინსტიტუტის შექმნას, რაც უპრეცედენტოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გარდა ამისა, ეს წინადადება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე არსებული ვითარებით. სასაზღვრო ინციდენტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ერთი მხრით საბერძნეთისა და მეორე მხრით იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის საზღვრებზე, პროვოკაციულად იწვევენ საბერძნეთის სამხედრო ხროვა და საბერძნეთის ხელისუფალნი. ასეთი ინციდენტების გამეორების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად არსებობს უბრალო და ეფექტიანი საშუალება — დაევალოს საბერძნეთის მთავრობას დაუყოვნებლივ შესწყვიტოს პროვოკაციები საბერძნეთისა და მისი მეზობლების საზღვრებზე და მათთან ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს. მაგრამ სასაზღვრო მეთვალყურეთა ინსტიტუტის დაარსების წინადადების ავტორები არ თანხმდებოდნენ მიეღოთ ეფექტიანი კანონიერი ღონისძიებანი, რომლებიც აღკვეთდნენ სასაზღვრო პროვოკაციებს, რასაც საბერძნეთის ხელისუფალნი აწყობენ, და შექმნიდნენ პირობებს საბერძნეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად. ისინი მოითხოვდნენ, რომ მათთვის მიეცათ საბერძნეთის მოსაზღვრე რაიონებში ბატონობის შესაძლებლობა. ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმებოდა წინადადებას სასაზღვრო მეთვალყურეთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ. თუ საბერძნეთის ახლანდელი მმართველი წრეები მზად არიან მიიღონ წინადადება მეთვალყურეთა შესახებ და ამით მზად არიან მსხვერპლად გაიღონ საბერძნეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, ხელმძღვანელობენ რა ინტერესებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ბერძენი ხალხის ინტერესებთან, იუგოსლავია, ბულგარეთი და ალბანეთი სრულებითაც არ არიან მოვალენი მიჰბაძონ მათს მაგალითს.

შემდეგ ა. ა. გრომიკო შეეხო უშიშროების საბჭოს კომისიის შექმნის ისტორიას და გაახსენა კომიტეტს, რომ ამ კომისიას მინიჭებული ჰქონდა ისეთი უფლებები და ფუნქციები, რომ თვით დაინტერესებული ქვეყნები ფაქტიურად ჩამოშორებული იყვნენ ამ საკითხის გადაწყვეტას. ამერიკის რეზოლუცია ფაქტიურად ნიშნავდა საბერძნეთის მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკის წაქეზებას, პოლიტიკისა, რომელსაც ეს მთავრობა მაკედონელი და ალბანელი უმცირესობისადმი მიმართავდა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ამერიკის რეზოლუცია შეიცავდა სხვა, აბსოლუტურად მიუღებელ და დაუსაბუთებელ დებულებებსაც. მაგალითად, წამოყენებული იყო წინადადება, რომ საბჭოს წინასწარ შეეფასებინა იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მომავალი მოქმედება (რა მოქმედება—ამის შესახებ არავის არაფერის თქმა არ შეეძლო), როგორც საფრთხე მშვიდობისათვის. ამ წინადადების აზრი ის იყო, რომ კომისიას ხმის უმრავლესობით შეეძლო გადაეწყვიტა, რომ ამ ქვეყნების მოქმედება საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის, და ეს გადაწყვეტილება წინასწარ მიჩნეული იყო საკმარისად ასეთი ბრალდებისათვის.

ასეთი წინადადების მიღება, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ კომისიის უმრავლესობა, რომელიც ამერიკელთა მითითებებით მოქმედებდა, შესძლებდა სრულიად უსაფუძვლოდ დაედო ბრალი ალბანეთს, ბულგარეთისა და იუგოსლავიისათვის, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან მშვიდობას, და გამოსარჩლებოდა საბერძნეთის ხელისუფალთ. ასეთი დასკვნის სისწორეს ადასტურებს ის, რომ კომისიის უმრავლესობამ მართლაც გააკეთა დასკვნები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს. ცხადია, რომ ასეთი წინადადების მიღება არა თუ უფრო გაამწვავებდა საბერძნეთისა და მისი მეზობლების ურთიერთობას, არამედ სახელსაც გაუტეხდა უშიშროების საბჭოს და საერთოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ყოველივე ამის გამო სსრ კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში ვერ დაეთანხმებოდა ამ წინადადების მიღებასაც, როგორც სრულიად უსაფუძვლოს. უშიშროების საბჭოში შეტანილი საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ საბერძნეთში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას და საბერძნეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად მტკიცე საფუძვლის შექმნას. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ ისეთ ღონისძიებას, როგორიც არის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ერთი მხრით საბერძნეთსა და მეორე მხრით ბულგარეთსა და ალბანეთს შორის, აგრეთვე იუგოსლავიასა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაციას.

საბჭოთა წინადადება თითქოს წინააღმდეგობას არ უნდა შეხვედროდა არც საბერძნეთის ხელისუფალთა მხრივ და არც უშიშროების საბჭოში წარმოდგენილ სახელმწიფოთა მხრივ, რამდენადაც იგი შეესაბამება როგორც დავაში ჩარეულ სახელმწიფოთა ინტერესებს, ისე ჩვენს საერთო ინტერესებს. მაგრამ საბჭოთა ეს წინადადება მიღებულ არ იქნა ყოველგვარი ხელოვნური საბაბის გამო. ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ნორმალიზაციის შესახებ წინადადების მიღებაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას. ეს უარი კიდევ უფრო მეტად ამხილებს ზოგიერთი სახელმწიფოს ნამდვილ გეგმებს საბერძნეთის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ამერიკის რეზოლუციის უარყოფის შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობას თითქოს უნდა გამოეტანა ერთადერთი სწორი დასკვნა, რომ საჭიროა საბერძნეთის საკითხის გადაწყვეტა მოძებნილ იქნას სხვა საფუძველზე, ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების გზით, რომლებიც ნამდვილად შეუწყობდნენ ხელს საბერძნეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, და არ განეგრძო მიზნისათვის გადახვევა და ცდილიყო ბრალი დაედო უდანაშაულოთათვის.

ნამდვილად კი ამერიკის შეერთებული შტატები 12 აგვისტოს გამოვიდნენ კიდევ უფრო უხეში ბრალდებით იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიმართ. ეს ბრალდებანი ჩამოყალიბებული იყო უკვე წესდების მე-7 თავის შესაბამისად, ამერიკის პირველი რეზოლუციისაგან განსხვავებით, რომელიც წარდგენილ იქნა წესდების მე-6 თავის შესაბამისად. ამერიკის რეზოლუცია, რომელიც წარდგენილ იქნა საბერძნეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ცალდარისის სათანადო წერილის რამდენიმე დღის შემდეგ, შინაარსითა და ფორმით უნიადაგო და შეურაცხმყოფელი იყო იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთისათვის. იგი შეიცავდა სასაცილო ბრალდებას, რომ ეს ქვეყნები საფრთხეს უქმნიან მშვიდობასო. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, თითქოს ეს ქვეყნები ეხმარებიან და მხარს უჭერენ ბერძენ პარტიზანებს. სავსებით ნათელი იყო, რომ ამერიკის ამ ახალ რეზოლუციას, რომელიც შინაარსის მხრივ დაუსაბუთებელი და ფორმით აშკარად გამომწვევი კილოთი იყო დაწერილი, უშიშროების საბჭო ვერ მიიღებდა. ყველასათვის გასაგები იყო, რომ იმ თორმეტი დღის მანძილზე, რაც გავიდა ამერიკის პირველი რეზოლუციის უარყოფის თარიღსა და ამერიკის მეორე რეზოლუციის შეტანის თარიღს შორის, არც საბერძნეთში და არც საერთოდ მსოფლიოში არაფერი შეცვლილა, და თუ შეიცვალა, მხოლოდ იმ მხრივ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი ჩარევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში, აჩაღებდნენ სამოქალაქო ომს საბერძნეთში და იქ შექმნილ ვითარებას იყენებდნენ ისეთი მიზნებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა არც ბერძენი ხალხის ინტერესებთან, არც ბალკანეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებთან.

მეორე რეზოლუციის შეტანამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მისი მთავრობა სრულებითაც არ ისწრაფვის ბრალი დასდოს იუგოსლავიას, ბულგარეთსა და ალბანეთს და რომ ამერიკის წინადადებანი თითქოს მიმართული არ არის რომელიმე ერთი ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ იმისთვის არის ნავარაუდევი, რომ გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბერძნეთსა და მის მეზობლებს შორის. მაგრამ ეს განცხადებანი რამდენიმე დღის შემდეგ დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, ამერიკის მეორე რეზოლუციის შეტანა თავისი უაზრობით აოცებდა იმათაც კი, ვისაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა იმის ნამდვილ ცდებთან, რომ მიგნებულ იქნას ამ საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტა მშვიდობის ინტერესებისათვის, არამედ პოლიტიკურ თამაშთან. კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახვა არა აქვთ სერიოზულად სცადონ საბერძნეთის საკითხის ჯეროვანი მოწესრიგება საერთაშორისო მშვიდობის დაცვის მიზნით, ვინაიდან საბერძნეთში მათ თავიანთი მიზნები აქვთ.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დაეთანხმებოდა ამერიკის ამ ახალ წინადადებებსაც.

ამერიკის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში არ მალავდა, რომ ამერიკის ახალი რეზოლუციის შეტანის მიზანია პროვოკაციულად აიძულოს საბჭოთა კავშირი გამოიყენოს „ვეტო" და ამით შეერთებული შტატებისათვის შეიქმნას უფრო ხელსაყრელი ვითარება გენერალურ ასამბლეაში საბერძნეთის საკითხის დასაყენებლად. უშიშროების საბჭოს 12 აგვისტოს სხდომაზე ჩვენ პირდაპირ გვითხრეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აწუხებს ის, რომ ამერიკის ახალი რეზოლუცია მიღებული არ იქნება, მაგრამ რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, თუ უშიშროების საბჭოში ამ რეზოლუციას უმრავლესობა დაუჭერს მხარს, იგი კიდევაც რომ არ გატარდეს, ეს ხელსაყრელი იქნება შეერთებული შტატებისათვის გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხის დასაყენებლად მომზადების თვალსაზრისით.

ასეთია ტაქტიკა, რომელსაც უშიშროების საბჭოში საბერძნეთის საკითხის განხილვის დროს შეერთებული შტატების წარმომადგენლები იყენებდნენ და რომელიც ეჭვს არა სტოვებს ამ წინადადებათა ავტორების ნამდვილი განზრახვების შესახებ. ასეთივე მიზანი ჰქონდა უშიშროების საბჭოში საბერძნეთის საკითხზე ავსტრალიის რეზოლუციის შეტანას, რომელიც ამერიკის მეორე რეზოლუციის მხოლოდ მეორე გამოცემა იყო და უკანასკნელის ყველა ძირითად დეფექტს შეიცავდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნე იმ ბრალდებათა დაუსაბუთებლობა, რომლებიც უშიშროების საბჭოში იუგოსლავიასა, ბულგარეთსა და ალბანეთს წაუყენეს. ასამბლეაში ამ ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წაყენებული ბრალდება მხოლოდ რამდენადმე უფრო უხეში ფორმით არის ჩამოყალიბებული, ვიდრე წინანდელი ბრალდებანი. ეს დაადასტურა ამერიკის დელეგაციის განცხადებამაც ამ საკითხზე, რაც 25 სექტემბერს გაკეთებულ იქნა პოლიტიკურ კომიტეტში, ისევე როგორც ამერიკის უკანასკნელმა წინადადებებმა ამ საკითხზე. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია პირდაპირ განაცხადოს, რომ საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საფრთხე შექმნილია არა საბერძნეთის მეზობლების მოქმედებით, არამედ საბერძნეთის საშინაო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ა. ა. გრომიკოს სიტყვის დასასრული

საქმეებში უცხოელთა ჩარევით, რაც კვლავ გრძელდება და რაც სხვა სახელმწიფოებისაგან მომდინარეობს. უკანასკნელ დრომდე ეს ჩარევა გამოიხატებოდა საბერძნეთში ინგლისის ჯარების ყოფნით და საბერძნეთში ინგლისის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა მოქმედებით.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს მთავარი როლი ამ მხრივ შეერთებული შტატების ხელში გადავიდა. ყველამ კარგად ვიცით იმ ოფიციალური პოლიტიკის ამბავი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საბერძნეთის მიმართ გამოაცხადა. ეს პოლიტიკა წარმოადგენს საბერძნეთის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას, რომელიც სხვადასხვა ფორმით პოულობს გამოხატულებას. კერძოდ, იგი გამოიხატება საბერძნეთში ეგრეთწოდებული სამხედრო ინსტრუქტორების გაგზავნით, რომელთა რიცხვი იქ, როგორც ამბობენ, 18 ათასს მიაღწევს. ასეთი ინსტრუქტორების გაგზავნა, ამასთან ისეთ პირობებში, როცა საბერძნეთში შინაური ბრძოლა სწარმოებს საბერძნეთის დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ ძალებს შორის, წარმოადგენს საბერძნეთის სუვერენიტეტის დარღვევას, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების პრინციპებთან. ეს ჩარევა გამოიხატება აგრეთვე აშკარა პოლიტიკური მხარდაჭერით, რასაც შეერთებული შტატები უწევენ ერთ-ერთ მებრძოლ მხარეს საბერძნეთში, როგორც ეს იყო, მაგალითად, სექტემბრის დამდეგს, როცა შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები სწყვეტდნენ საბერძნეთის მთავრობის შემადგენლობის საკითხს და ირჩევდნენ ყველაზე უფრო შესაფერ ვარიანტს გენერალური ასამბლეის სესიის მოახლოებასთან დაკავშირებით.

საბერძნეთის მიმართ შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას ზოგჯერ ამ ქვეყნისადმი დახმარების პოლიტიკას უწოდებენ. ამ გამოთქმას განსაკუთრებით დიდი გასავალი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა მთავრობას წინათაც აღუნიშნავს, რომ ამ პოლიტიკას საერთო არა აქვს რა საბერძნეთის ნამდვილ დახმარებასთან. საბერძნეთს, როგორც ისეთ ქვეყანას, რომელიც ფაშისტური ოკუპაციისაგან ძლიერ დაზარალდა, რასაკვირველია, ესაჭიროება ეკონომიური დახმარება გარედან. მაგრამ ის, რასაც ამჟამად საბერძნეთის მიმართ სჩადიან, საბერძნეთისადმი დახმარება კი არა, მის შინაურ საქმეებში უცხოელთა ჩარევაა, რაც ნიშნავს მის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამონებას ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოს მიერ. როგორც სჩანს, შეერთებული შტატების მთავრობამ შემთხვევით კი არ გადასწყვიტა თავისი ღონისძიებანი საბერძნეთის მიმართ გაატაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე და ამ ორგანიზაციის გვერდის ავლით.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ დაუშვებელია უცხოელთა ჩარევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში და რომ საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რათა საბერძნეთისათვის გარედან გაწეული ეკონომიური დახმარება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ბერძენი ხალხის ინტერესებისათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირის შესაბამისი წინადადება მიღებულ არ იქნა უმთავრესად იმიტომ, რომ მისი საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ საბჭოთა წინადადება იმიტომ აღმოჩნდა მიუღებელი შეერთებული შტატებისათვის, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საბერძნეთის მიმართ იმ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ატარებენ და რომელსაც თან ახლავს საშინაო საქმეებში ჩარევა.

საბჭოთა მთავრობამ ასეთივე წინადადება შეიტანა უშიშროების საბჭოში საბერძნეთის საზღვრებზე ინციდენტების გამომკვლევი კომისიის მოხსენების განხილვის დროს. მაგრამ ამჯერადაც საბჭოთა წინადადებამ ვერ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა უშიშროების საბჭოში, ვინაიდან მის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა შეერთებული შტატების წარმომადგენელმაც. გარდა ამ წინადადებისა, რომლის საფუძვლიანობა და დროულობა ცხადია, საბჭოთა მთავრობამ უშიშროების საბჭოში შეიტანა აგრეთვე წინადადება საბერძნეთიდან უცხოეთის მთელი ჯარებისა და უცხოეთის სამხედრო პერსონალის გამოყვანის შესახებ. ამ წინადადებამაც ვერ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა უშიშროების საბჭოში უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ გასაგები მოტივებით გამოთქმული საწინააღმდეგო აზრის გამო.

და აი ასეთ პირობებში, როცა შეერთებული შტატები საბერძნეთის საშინაო საქმეებში ჩარევას ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს გენერალურ ასამბლეას და სთხოვს დაიცვას საბერძნეთი იმ საფრთხისაგან, რაც მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება. უნებლიეთ გვებადება კითხვა, რით უნდა აიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი? რით უნდა აიხსნას მისი მოთხოვნა, რომ საბერძნეთი დაცულ იქნას საფრთხისაგან, რომელიც მის დამოუკიდებლობას ემუქრება, როცა საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის საფრთხე შეერთებული შტატებისაგან მომდინარეობს? ეს იმ სურვილით ხომ არ აიხსნება, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოაშორონ ნამდვილ ვითარებას საბერძნეთში და ამ ვითარების გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს? ასეთი კითხვა კანონიერი და მართებულია. იგი გამომდინარეობს ფაქტებიდან, ამბების ლოგიკიდან. საქმე არ იცვლება იმით, რომ საბერძნეთის ახლანდელი მმართველებიც გაჰყვირიან, საბერძნეთს საფრთხე ემუქრება მისი მეზობელი ქვეყნების მხრივო, მაგრამ ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ეს მმართველები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ უცხოელთა ჩარევის შედეგად, ნამდვილად საბერძნეთის დამოუკიდებლობით ვაჭრობენ. არ სარგებლობენ რა ხალხის მხარდაჭერით, ისინი მზად არიან გასწირონ საბერძნეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, რათა მიიღონ შეერთებული შტატების მხარდაჭერა და გაახანგრძლივონ საბერძნეთში დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის არსებობა. ის ფაქტი, რომ საბერძნეთის მთავრობა მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოთხოვნას, კიდევ უფრო მეტად გვიჩვენებს, თუ რა უფსკრულისაკენ უბიძგებენ საბერძნეთს მისი ახლანდელი მმართველი წრეები.

საბერძნეთს მართლაც ემუქრება საფრთხე, მაგრამ ეს საფრთხე მომდინარეობს ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოსაგან, რომლებიც ცდილობენ საბერძნეთი გადააქციონ თავიანთ საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიურ დანამატად და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ეს შეუთავსებელია ბერძენი ხალხის საარსებო ნაციონალურ ინტერესებთან და საბერძნეთის, როგორც სახელმწიფოს, დამოუკიდებლობასთან. საბერძნეთის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება ისეთი გზით, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა დაადგა. ინსინუაციები და მუქარა, რომლებსაც იგი მიმართავს, რა თქმა უნდა, ხელს კი არ უწყობენ, არამედ აძნელებენ ამ საკითხის სწორ გადაჭრას.

საბერძნეთის მდგომარეობის გამოჯანსაღება და მასა და მის მეზობლებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ და მთლიანად შესწყდება უცხოელთა ჩარევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში და აღდგენილ იქნება საბერძნეთისა და მისი ხალხის დამოუკიდებლობა. გენერალურ ასამბლეაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საბერძნეთის საკითხის დაყენება, ისევე როგორც საბერძნეთის მიმართ მთელი მათი პოლიტიკა, ეწინააღმდეგება სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებს, სერიოზულ ზიანს აყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს და, უწინარეს ყოვლისა, მთავარ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას, რომლებსაც აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის.

ასეთი დასკვნის სისწორეს ადასტურებს განცხადებანი ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლებისა უშიშროების საბჭოში იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები მზად არიან იმოქმედონ ამ საკითხში გაერთიანებული ერების გვერდის ავლით, თუ საბერძნეთის საკითხზე მიღებულ არ იქნება მათი წინადადებანი. ამასთან იმოწმებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლს. მითითება წესდების 51-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ერების თვითდაცვის უფლებას შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, უსაფუძვლოა, ვინაიდან არც შეერთებულ შტატებს, არც საბერძნეთს არავინ არ ემუქრება. შემთხვევითი როდი იყო, რომ უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის სათანადო განცხადება ამ მუხლზე მითითებით საზოგადოებრიობისა და პრესის მიერ შეფასებულ იქნა როგორც გადაკვრითი სიტყვა საბერძნეთში ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ და როგორც ასეთი მოქმედების გამართლების ცდა.

რა თქმა უნდა, ვინც ასეთი განცხადებებით გამოდის, იგი პასუხს აგებს როგორც ასეთი განცხადებებისათვის, ისე ამ განცხადებათა განსახორციელებლად წარმოებული მოქმედებისათვის.

ჩვენ ანალიზს არ ვუკეთებთ იმას, თუ შეერთებული შტატების მთავრობამ რატომ აირჩია საბერძნეთის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თანამშრომლობის ჩასაფუშავად, მაგრამ პირდაპირ და აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ ორგანიზაციისათვის ეს საზიანო და სახიფათო გზაა, ვინაიდან იგი ძირს უთხრის ამ ორგანიზაციის მიერ მშვიდობის დასაცავად და სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის განსავითარებლად და განსამტკიცებლად მიმართული წარმატებით მოქმედების საფუძვლებს. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გააფრთხილოს არა მარტო ისინი, ვინც პირდაპირ პასუხისმგებელია ასეთი მდგომარეობისათვის, არამედ ისინიც, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უჭერს მხარს ასეთ პოლიტიკას, რომელიც ზიანს აყენებს საერთაშორისო თანამშრომლობის მთელ საქმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

დასასრულ საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა თავისი შემდეგი წინადადებანი:

I. განიხილა რა საბერძნეთის საკითხი, რომელიც ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნით, გენერალური ასამბლეა გამორკვეულად სთვლის:

1) რომ იმ ინციდენტებში, რასაც ადგილი ჰქონდა ერთი მხრით საბერძნეთის და მეორე მხრით იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის საზღვრებზე, დამნაშავენი არიან საბერძნეთის ხელისუფალნი. უშიშროების საბჭოს კომისიის მიერ ადგილზე ჩატარებულმა მდგომარეობის გამოკვლევამ დაადასტურა ინციდენტების კავშირი იმ საერთო მტრულ პოლიტიკასთან, რომელსაც საბერძნეთის ახლანდელი მთავრობა საბერძნეთის მეზობელი ქვეყნების მიმართ ატარებს;

2) რომ, როგორც ეს სჩანს საბერძნეთის საზღვრებზე ინციდენტების გამომკვლევი კომისიის მოხსენებიდან, საბერძნეთის საშინაო მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ბრძოლის გამწვავება ბერძენ ხალხსა და საბერძნეთის ახლანდელი მთავრობის გარშემო შეჯგუფებულ ანტიდემოკრატიულ ძალებს შორის, ძირითადი ფაქტორია, რომელმაც დაძაბული მდგომარეობა გამოიწვია საბერძნეთის ჩრდილოეთ სასაზღვრო რაიონებშიც და რომელსაც საბერძნეთის სამხედრო წრეები იყენებენ პროვოკაციული მოქმედებისათვის იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის წინააღმდეგ. ამ მოქმედებას არა თუ ბოლოს არ უღებს საბერძნეთის ახლანდელი მთავრობა, არამედ პირიქით, აქეზებს და ამართლებს;

3) რომ საბერძნეთში, მათ შორის მის ჩრდილოეთ რაიონებში, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად შედეგია უცხოელთა ჩარევისა საბერძნეთის საშინაო საქმეებში. საბერძნეთის ანტიდემოკრატიული წრეები, რომელთა შორისაც თვალსაჩინო გავლენით სარგებლობენ ელემენტები, რომლებმაც წინათ სახელი გაიტეხეს ფაშისტ ოკუპანტებთან თანამშრომლობით, იყენებენ ამ ჩარევას და იგი საბერძნეთში ვითარების შემდგომი გამწვავების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. იგი აძნელებს საბერძნეთისა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას.

II. ერთი მხრით საბერძნეთსა და მეორე მხრით იუგოსლავიას, ბულგარეთსა და ალბანეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა:

1) საბერძნეთის მთავრობამ მიიღოს ზომები სასაზღვრო ინციდენტების შესაწყვეტად იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის საზღვრებზე;

2) დაწესდეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა ერთი მხრით საბერძნეთსა და მეორე მხრით ბულგარეთსა და ალბანეთს შორის და ნორმალიზებულ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის;

3) საბერძნეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობებმა განაახლონ წინათ მოქმედი ან დასდონ ახალი ორმხრივი სასაზღვრო კონვენციები, რომლებიც გაითვალისწინებენ სასაზღვრო ინციდენტების მოწესრიგებას;

4) ერთი მხრით საბერძნეთის მთავრობამ და მეორე მხრით იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობებმა მოაწესრიგონ ლტოლვილთა საკითხი ამ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარების სულისკვეთებით;

5) საბერძნეთის მთავრობამ გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას მაკედონური და ალბანური ეროვნების მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, და მხედველობაში მიიღოს მათთვის თავიანთი მშობლიური ენით სარგებლობისა და თავიანთი ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობის მინიჭება;

6) ალბანეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის მთავრობებმა გენერალური მდივნის საშუალებით სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა გასაცნობად წარადგინონ ინფორმაცია ასამბლეის ამ რეზოლუციით გათვალისწინებულ რეკომენდაციათა შესრულების შესახებ.

III. საბერძნეთში შინაპოლიტიკური ვითარების გაჯანსაღების, საბერძნეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის პირობების შექმნისა და საბერძნეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა: გაწვეულ იქნას საბერძნეთიდან უცხოეთის ჯარები და უცხოეთის სამხედრო პერსონალი.

IV. საბერძნეთისათვის გაწეული უცხოეთის ეკონომიური დახმარების ჯეროვანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით გენერალური ასამბლეა გადაწყვეტილებას იღებს შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც სათანადო ზედამხედველობის გზით უზრუნველჰყოფს ასეთი დახმარების გამოყენებას მხოლოდ ბერძენი ხალხის ინტერესებისათვის.

კორეიდან საბჭოთა და ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადების გამო

ფხენიანი, 27 სექტემბერი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს კორეის საკითხების საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობა შეჩერდა, კომისიას რეგულარული სხდომები არ ჰქონია. ამერიკის დელეგაცია თავს არიდებდა ერთობლივი კომისიის მუშაობის განგრძობას და ისეთი პოზიცია დაიკავა, რომელმაც შეუძლებელი გახადა, რომ კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების შესაბამისად შექმნილიყო კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა.

დასასრულ, 26 სექტემბერს საბჭოთა დელეგაციის მხრივ მრავალგზისი მტკიცე მოთხოვნის შემდეგ მოწვეულ იქნა ერთობლივი კომისიის მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე მას შემდეგ, რაც ამერიკის დელეგაციამ უარჰყო საბჭოთა დელეგაციის 17 სექტემბრის წინადადება და უარი სთქვა ამ წინადადებათა შემდგომ განხილვაზე, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გენერალმა შტიკოვმა განცხადება გააკეთა, რომლითაც წინადადება შეიტანა გამოყვანილ იქნას კორეიდან ამერიკისა და საბჭოთა ჯარები 1948 წლის დამდეგს და თვითონ კორეელ ხალხს მიეცეს საშუალება შეადგინოს კორეის მთავრობა.

გენერალ შტიკოვის განცხადება მოულოდნელი რამ იყო ამერიკის დელეგაციისათვის. ამერიკის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ბრაუნმა მოისმინა საბჭოთა დელეგაციის განცხადება და წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ მოეწყოთ მცირე შესვენება. შესვენების შემდეგ განახლებულ სხდომაზე გენერალმა ბრაუნმა საბჭოთა დელეგაციას სთხოვა დაედასტურებინა, იგი საბჭოთა მთავრობის სახელით მოქმედებს თუ არა, თავისი წინადადებანი რომ შეიტანა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, გენერალმა ბრაუნმა, რომელიც კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა, სასწრაფოდ შეიტანა წინადადება სხდომის დახურვის შესახებ.

საბჭოთა დელეგაცია თავისი განცხადების პასუხს ელის ამერიკის დელეგაციისაგან.

ფხენიანი, 28 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ჩრდილოეთ კორეის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი კორეის საკითხთა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გენერალ შტიკოვის განცხადებისა, რაც გაკეთებულ იქნა კომისიის 26 სექტემბრის სხდომაზე და შეიცავს წინადადებას, რომ 1948 წლის დამდეგს კორეიდან გამოყვანილ იქნან საბჭოთა და ამერიკის ჯარები.

სამხრეთ კორეაში გენერალ შტიკოვის განცხადების სრული ტექსტი მხოლოდ ორმა გაზეთმა გამოაქვეყნა, დანარჩენმა გაზეთებმა განცხადება მხოლოდ შემოკლებული სახით მოათავსეს თავიანთ ფურცლებზე. ამასთან გაზეთები სათაურებში ხაზს უსვამენ საბჭოთა წინადადების დიდ მნიშვნელობას.

სამხრეთ კორეის პრესაში გამოქვეყნებულია მთელი რიგი პარტიებისა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადებანი საბჭოთა დელეგაციის წინადადების გამო. გაზეთი „ჩოსენ ილბო" ბეჭდავს „მშრომელი ხალხის პარტიის" განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „საბჭოთა დელეგაციის წინადადება დიდი და ბრწყინვალე სიტყვაა. ჩვენი პარტია მთლიანად უჭერს მხარს ამ წინადადებას". იმავე გაზეთში დაბეჭდილია „სანგუკ დანის" პარტიის („ახალი სახელმწიფოს პარტია") განცხადება. „ჩვენ, — ნათქვამია განცხადებაში, — მთლიანად და სავსებით ვიწონებთ ახალ წინადადებას... ჩვენ გვსურს მივაღწიოთ ამ საკითხის გადაწყვეტას და ამის სრული შესაძლებლობა გვაქვს".

სამხრეთ კორეის უკიდურესი რეაქციული წრეები კი, რომლებიც აქამდე იმის პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ თითქოს ისინი არიან კორეელი ხალხის შეხედულებებისა და განწყობილების გამომხატველნი, შეშფოთებული არიან საბჭოთა დელეგაციის წინადადებით და აშკარად აღიარებენ, რომ ამერიკის ჯარების წასვლა კორეელ რეაქციონერებს ხალხზე გავლენის შესაძლებლობას წაართმევდა.

კორეელი რეაქციონერები შეშინებული არიან კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შესაძლებლობით

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, ცნობილმა კორეელმა რეაქციონერებმა სინ მან რიმ და კიმ კუმ მისთვის მიცემულ ინტერვიუში შიში გამოსთქვეს, რომ მათ შეიძლება დაჰკარგონ კონტროლი სამხრეთ კორეისადმი იმ შემთხვევაში, თუ იქიდან ამერიკის ჯარები გაიყვანეს. მათ წამოაყენეს წინადადება, რომ ამერიკელებმა მოამზადონ არმია სამხრეთ კორეაში იქიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შემთხვევისათვის.

ლოურენსის სტატია კორეის საკითხზე

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). ჟურნალისტი დავიდ ლოურენსი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ნიუ-იორკის გაზეთ „სანში" და ბევრ სხვა გაზეთში, აკრიტიკებს სახელმწიფო მდივნის მარშალის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში განსახილველად კორეის საკითხის დასმის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევას.

ლოურენსი სწერს: თუმცა ამერიკის მთავრობის მიერ პრესაში წარმოებული ფართო კამპანია გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ამერიკელ ხალხს შეუქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყოველივე, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ლაპარაკობს და აკეთებს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში სწორია, „სამართლიანობა მოითხოვს, რომ მარშალის გადაწყვეტილება — კორეის დამოუკიდებლობის საკითხი განსახილველად დასვას გენერალურ ასამბლეაში, განხილულ უნდა იქნას იმ საზომით დაპირების მიხედვით, რაც ამერიკის დელეგაციის წევრებმა მისცეს, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება სან-ფრანცისკოში მუშავდებოდა 1945 წელს".

„ყველაზე უარესი ის არის, — განაგრძობს ლოურენსი, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შორდება სან-ფრანცისკოში მიღწეული შეთანხმების ტექსტს თუ არა, მის დედაარსს მაინც".

„ამერიკის მთავრობამ უნდა დაიცვას დადებული შეთანხმებანი, რათა საბჭოთა მთავრობასა და სხვა მთავრობებს არ მისცეს საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებს დააბრალონ მისწრაფება—შემოვლითი გზით მიაღწიონ იმას, რისი მიღწევაც მათ პირდაპირი გზით არ შეუძლიათ".

იტალიის სოციალისტურმა და კომუნისტურმა პარტიებმა შეიტანეს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციები

რომი, 28 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის დამფუძნებელ კრებაში დაიწყო დისკუსია მთავრობის პოლიტიკაზე უნდობლობის იმ რეზოლუციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიტანეს სოციალისტური და კომუნისტური პარტიების დეპუტატებმა.

რეზოლუციაში, რომელსაც ხელს აწერს სოციალისტი დეპუტატების ჯგუფი პიეტრო ნენის მეთაურობით, ნათქვამია: „დამფუძნებელი კრება, იღებს რა მხედველობაში მთავრობის პოლიტიკის შედეგებს, კერძოდ საფინანსო-ეკონომიურ დარგში, რომლებიც არღვევენ სოლიდარულ ღონისძიებებს აღდგენის საქმეში, იწვევენ იტალიაში წესრიგის დარღვევას და ხალხის მასების საარსებო დონის დაწევას, უარს ეუბნება მთავრობას ნდობის გამოცხადებაზე".

ამავე დროს ტოლიატიმ, ლონგომ, სეკიამ და კომპარტიის სხვა დეპუტატებმა შეიტანეს უნდობლობის მეორე რეზოლუცია შემდეგი შინაარსისა: „საპოლიციო ხელისუფლებისა და პრეფექტების მიერ მიღებული ზომების გამო, რომლებიც ზღუდავენ პროპაგანდისა და აგიტაციის თავისუფლებას და საერთოდ დემოკრატიულ თავისუფლებებს, დამფუძნებელი კრება უარს ეუბნება მთავრობას ნდობის გამოცხადებაზე".

პრიეტოს შეხვედრა ბევინთან

ლონდონი, 28 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იხება. ესპანეთის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერის პრიეტოს შეხვედრას ბევინთან საგარეო საქმეთა სამინისტროში და სწერს, რომ პრიეტო ცდილობს ხელი შეუწყოს ფრანკო-მარშალის გეგმის განხორციელებას ესპანეთის მიმართ; ამ გეგმის მიზანია დასავლეთის ბლოკში ესპანეთის შეყვანა.

შემდეგ გაზეთი სწერს: „პრიეტოს ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მალე უნდა განიხილოს ესპანეთის საკითხი.

ბევინს იმედი აქვს, რომ მანამდე იგი შესძლებს შექმნას მისაღები კოალიცია, რომელშიც არ იქნება ფრანკო, და ამავე დროს არ დაირღვევა მის მიერ შექმნილი რეჟიმის საფუძვლები".

თურქეთში ჩადიან ამერიკის ახალი მისიები

ანკარა, 27 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ვათანი" იუწყება, რომ თურქეთში ჩამოვიდა 16 კაცი ამერიკის კონგრესის სამხედრო კომისიის შემადგენლობიდან.

გაზეთი „სონ პოსტა" გადმოგვცემს, რომ თურქეთში მოელიან ამერიკის კომისიას ოთხი კაცის შემადგენლობით.

4 ოქტომბერს ჩამოვა კონგრესის მეორე შერეული კომისია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო ბიუროს შემადგენლობიდან.

7 ოქტომბერს ჩამოვა წარმომადგენელთა პალატის საგარეო ვაჭრობის საქმეთა მესამე კომისია.

გარდა ამისა, გაზეთები იუწყებიან, რომ მოელიან „მარშალის გეგმასთან" დაკავშირებულ საკითხთა კომისიისა და 19 კაცისაგან შემდგარი საფინანსო კომისიის ჩამოსვლას.

ავღანეთის მთავრობამ სცნო ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა

ქაბული, 24 სექტემბერი. (საკდესი). ქაბულის გაზეთები იუწყებიან, რომ „ავღანეთის მთავრობამ ოფიციალურად სცნო ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა".

აფხაზეთი

კოლმეურნეობათა ქოხ-ლაბორატ[ორიები]

[...]ჩაის მრეწველობისა და სუბტროპ[იკუ]ლი კულტურების სსრ კავშირის სამეცნიერო[-კვლევითი] ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი ს[...] სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწ[...] ხაზეთის რესპუბლიკაში სუბტროპიკულ[ი კულტუ]რების გაშენების, მათი გაზრდისა და [მოსავ]ლიანობის გადიდებისათვის.

ამ მიზნით დღემდე ჩატარებული ცდ[ები] სერიოზულ შედეგებს იძლევა. ადგილებზე [...] დილების პრაქტიკული გამოყენებისათვის [...] ხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სა[...] რომ ქოხ-ლაბორატორიები გახსნა გუდ[აუთის რაი]ონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობ[ის ...] გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდის ბერი[ას სა]ხელობის კოლმეურნეობებში.

პროფკავშირთა კლუბი

რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქ ოჩამ[ჩირეში] თვალსაჩინო ნაგებობათა მწკრივში ჩად[გა ...] მუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფ[...] კავშირის ლამაზი და მდიდრულად მო[წყობილი] კლუბი. მას აქვს მხატვრულად გაფორმ[ებული] და კეთილმოწყობილი ფოიე. კლუბი გა[ნკუთვ]ნილია 350-მდე მაყურებლისათვის.

კლუბთან ჩამოყალიბებულია ქართულ[ი ...] ზური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი [...] ბარ მარღანიას ხელმძღვანელობით.

საკოლმეურნეო ბაზრის რეკონსტრუქცია

ქალაქ ოჩამჩირეში რეკონსტრუქცირებულ[ია] საკოლმეურნეო ბაზარი. აშენდა ახალი [...] რო ფარდულები, კოლმეურნეთათვის აგე[...] პერატიული სავაჭროს შენობა, გაიხსნა ს[...] ველი არტელები. შეკეთდა ბაზრის ტ[ერიტო]რიაზე მყოფი დახურული და კომერციუ[ლი] სადილოები.

დ. გეგეჭ[...]

მესხეთის სახელმწიფო თეა[ტრი] ახალ სეზონში

მესხეთის სახელმწიფო თეატრმა (დირ[ექტო]რი და სამხატვრო ხელმძღვანელი მ. მ[...] შვილი) ნაყოფიერი მუშაობით მაყურ[ებლის] სიყვარული დაიმსახურა. თეატრმა ახალ[ციხის,] ასპინძის, ადიგენისა და ახალქალაქის რ[აიონე]ბის მშრომელებს უჩვენა 400-მდე წარმ[ოდგენა,] რომლებსაც 120.000 მაყურებელი დაესწ[რო].

ამჟამად თეატრი გაცხოველებით [ემზადება] 1947-1948 წლების სეზონისათვის. მიმდ[ინარე]ობს თეატრის შენობის კაპიტალური რე[მონტი,] რისთვისაც გადადებულია 100.000 მ[ანეთი.] თეატრის კოლექტივი შეივსო რვა ახალ[გაზრდა სცე]ნიური მსახიობით.

თეატრი ახალ სეზონს გახსნის 18 ოქტ[ომბერს] გ. ქელბაქიანის პიესით „გამოცდები". [...] სდგამს მ. მეძმარიაშვილი, მხატვრულად [აფორ]მებს მირიანაშვილი, მუსიკა — კომპ[ოზიტო]რ. გოგნიაშვილისა.

სეზონის პირველ ნახევარში თეატრი მ[აყურე]ბელს უჩვენებს გედევანიშვილის პიესა [...] ლეს", ანთაძის, ჩიქოვანისა და ლუმბაძის [...] რალო ადამიანებს", ი. ჯავახიშვილ[ის] „ქორწილს სოფელში". ძველი დადგ[მებიდან] აღდგენილი იქნება: „ბაში-აჩუკი", „რ[...] რანგი", „მშობლიურ მთებში" და „სამშ[ობლო"].

ახალი პიესების დადგმაზე იმუშავებენ [...] სორები, ხელოვნების დამსახურებუ[ლი] ლეწინიძი ვრ. სულიაშვილი, ნ. გორძიაშვ[ილი,] ვ. ყუშიტაშვილი.

ნ. ფარჯან[...]

„კომუნისტის" საკუთარი კორესპ[ონდენტი]

ფეხბურთი

გუშინ მოსკოვის „ცდკამ" ჩაატარ[ა] კალენდარული შეხვედრა მოსკოვის „სპ[არაკ]თან". არმიელმა ფეხბურთელებმა მო[იპოვეს] მე-16 გამარჯვება პირველობის გათამაშ[ებაში] ანგარიშით—1:0. ამჟამად მოსკოვის „[ცდკა]ს" აქვს 37 ქულა და მხოლოდ ერთი ქულით მორჩება მოსკოვის „დინამოს". სამაგ[იეროდ] მოსკოვის „ცდკას" ჩასატარებელი დარჩ[ა ერ]თით მეტი შეხვედრა, ვიდრე მოსკოვის [„დინა]მოს".

26 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედო" [...] გო მოსკოვის „კრილია სოვეტოვს" (2:1) [...] ლო გუშინ კი ტორპედოელებმა განიცად[ეს] მარცხება მინსკში ადგილობრივი „დი[ნამოს"] გუნდთან ანგარიშით — 2:3.

28 სექტემბერს თბილისში ერთმანეთს [შეხვ]დნენ თბილისისა და მოსკოვის „დი[ნამოს"] გუნდები. შეხვედრა დამთავრდა მოსკ[ოველების] გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

* * *

28 სექტემბერს მოსკოვში დაიწყო [...] თვეს გასტანს სსრ კავშირის პირველობ[ის გა]თამაშების მეორე ჯგუფის ზონებში გამ[...] ზული გუნდების ფინალური შეხვედრებ[ი, რო]მელშიც მონაწილეობენ მოსკოვისა და [...] ვის „ლოკომოტივის", სტალინაბადის [„დინა]მოს", გორკის „ტორპედოს", ჩელიაბ[ინსკის] „ძერჟინეცისა" და თბილისის ოფი[ცერთა] სათლქო სახლის გუნდები.

პირველი დღის მატჩებმა, რომლებიც [გაიმარ]ჯო 28 სექტემბერს, ჩაიარა დაძაბულ[ად.] ორივე დამთავრდა ერთნაირივე ანგარიშ[ით] 1:1 (გორკის „ტორპედო"—სტალინაბადის [„დი]ნამო" და თბილისის ოფიცერთა სათლქ[ო სახ]ლის გუნდი—ჩელიაბინსკის „ძერჟინე[ცი"]). ქულა მოიპოვა მხოლოდ მოსკოვის „[ლოკომო]ტივმა", რომელმაც 29 სექტემბერს [...] შესძლო ხარკოვის „ლოკომოტივის" [...] ზა ანგარიშით—3:0.

პასუხისმგებელი რედაქტ[ორის] მოადგილე ი. ნატროშვი[ლი]

თეატრებში

1 ოქტომბერს: ფალიაშვილის სახელობის „ქეთო და კოტე"; რუსთაველის სახელობის — „ღრმა ფესვები"; მარჯანიშვილის სახელობის — „კაცია ადამიანი?!"; გრიბოედოვის სახელობის — „ღრმა ფესვები"; მუსიკალური კომედიის — „მარიცა"; სომხური — „სოსი და ვარდიტერი"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „მართალი კაცი"; რუსული — „უეცარი სიმდიდრე"; თოჯინების რუსული — „თოვლის ბაბუა".

კინოებში

1 ოქტომბერი: რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი" და „ამირანი" (საზაფხულო და ზამთრის) — „ნუ დამივიწყებ"; „კომკავშირელი" (საზაფხულო) — „კოტოვსკი", (ზამთრის) — „გულადი ნაზარა"; „სპარტაკი" — „შენა ხარ ჩემი ბედნიერება"; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — „ალექსანდრე პარხომენკო", (ზამთრის) — „სევანელი მეთევზეები"; „კოლმეურნე" — „ახალი სახლი"; „ქრონიკა" — „1947 წლის სრულიად საკავშირო ფიზკულტურის პარადი მოსკოვში".

მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3), ა. წ. 7 ოქტომბერს, საღამოს 7 საა[თზე] ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბ[რების] მე-10 ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებს მეანაბრეთა ყველა ის ანგარიში, რომელზეც 1947 [წ.] 1 ოქტომბრისათვის ირიცხება მომგებიანი ანაბრების ნაშთი.

ტირაჟზე დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახ[...] სამმართველო

მოქალაქე ანა ეფრემის ასულმა ტრუტნევამ, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 117, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თევდორე ივანეს-ძე უშენინთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე პეტრე ვასილის-ძე კამ[...] მცხოვრებმა სოფელ ფოსტა, [...] საქმე რუსთაველის პროსპ. № 31 მ[ცხოვ]რებ მოქალაქე ლიუდმილა კონსტა[ნტი]ნეს ასულ კამენთან განქორწინების [შე]სახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბ[ერიას] რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამა[რთლო].

დედა სოფიო, შვილი ნინო, და თამარ ოჯახით, დეიდა ნინუცა იუწყებიან ლევან (ლიკა) გიორგის-ძე ჯაყელის გარდაცვალებას.

მეუღლე ლიზა, შვილები ნინო, პეტ[...] თო, ძმისწული ალექსანდრე ოჯახით [...] წყებიან ვიქტორ იოსების-ძე კვე[...] გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-X, 5 ს[აათზე] ფიონის, 17.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000